კვირა, 13 ივლისი 1924 წ. მეოთხე წელიწადი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სიმართლის ხმა

№ 34 ყოველკვირეული ჟურნალი № 34

რედაქციის მისამართი:
ტფილისი, პლეხანოვის პრო. სასტუმრო „ნ ო ე“ ოთახი № 102.

ფასი 5 კაპ.

რ ე დ ა ქ ც ი ა
ღ ი ა ა ყ ო ვ ე ლ დ ღ ე { დღის 2 ს. საღამოს 6 ს.

ჩვენი თანამშრომლეგის და მკითხვლგის საყურადღეგოთ

25 აგრისტოსათვის განზრახულია ჩვენი ჟურნალის საიუბილეო ნომრის გამოცემა. „სიმართლის ხმი“-ს რედაქცია სთხოვს ყველა თავის თანამშრომლებს და მკითხველებს დაამზადონ ამ ნომრისათვის მოგონებები, შთაბეჭდილებები, პრინციპიალური ხასიათის წერილები და სურათები.

მასალების მიღების უკანასკნელ დღეთ დანიშნულია 15 აგვისტო 1924 წ.

სარედაქციო კოლეგია

წლის თავის მოლოდინში

მენშევიკური პარტიის უკანასკნელი ყრილობის წლის თავის აღსანიშნავად განზრახულია მოწვეულ იქნას ტფილისში გაფართოებული საზეიმო კრება, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ყველა პროვინციიდან წარმოგზავნილი ამხანაგები.

რამ გამოიწვია 25 აგვისტოს კრების საჭიროება? ბევრს ის შეიძლება წარსულ ყრილობის განმეორებათაც მოეჩვენოს. სრულიადაც არა. ამ კრების მოწვევის მიზეზები სულ სხვაში მდგომარეობს. მენშევიკური პარტიის გასული წლის ყრილობის უმთავრეს მიზანს შეადგენდა პარტიის მთელი ხაზის გადასინჯვა, განვლილი გზის აწონ-დაწონვა და მისი ან საბოლოოთ უარყოფა, ან შექმნილ მდგომარეობიდან თავის დასაღწევათ რაიმე გზის გამონახვა. ყრილობამ პირველი გზა აირჩია. მან ხელაღებით უარყო მენშევიკური პარტიის ტაქტიკა და ბრძოლის მეთოდები. მან პარტია დაშლილად გამოაცხადა.

სულ სხვაა 25 აგვისტოს კრების დანიშნულება. მან უნდა შეაფასოს, თვალი გადაავლოს ამ ერთ წელში განვლილ გზას, მან უნდა უთხრას თავის თავს და შემდეგ მთელ იმ მასას, რომელსაც გასული წლის ყრილობა აერთიანებდა, რამდენად სწორი აღმოჩნდა ყრილობის მიერ გადადგმული ნაბიჯი. მას დღეს მეტი საშვალება აქვს ასეთი დასკვნის გაკეთების, ვიდრე ეს ერთი წლის წინად იყო. ჩვენს უკან არის ეხლა მთელი წელიწადი, რომელმაც ამ მხრივ ბევრი საგულისხმო მასალა დასტოვა.

ყრილობის შემდეგ მენშევიკურ პარტიის რღვევა კიდევ მეტი სისწრაფით წავიდა წინ. დაიშალა ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციები თავის ხელმძღვანელებითურთ; ბოლო მოეღო პოლიტიკურ პატიმართა გაურკვევლობას, რომელზედაც ამყარებდა მთელ იმედებს ავანტიურისტული არალეგალური ცეკა; გამოვიდა პარტიიდან იატაკ-ქვეშ მომუშავე ჯგუფის ხელმძღვანელი, ცნობილი მენშევიკი დევდარიანი და სხვები; გამოქვეყნებულ იქნა მენშევიკურ პარტიის პატრიარქის, ჟორდანიას, ორი წერილი, სადაც ნათლად გამოაშკარავდა ქართულ სოციალ-დემოკრატიის ჭეშმარიტი მოღალატური სახე და სხვა. აი, მოკლედ ის მო-

მენტები, რომლითაც ხასიათდება გასული წელი მენშევიკურ პარტიის რღვევის ისტორიაში.

რომელ მოვლენაზე მიგვითითებს ამის შემდეგ აქ იქა იატაკ ქვეშ დარჩენილი განუკურნავ მენშევიზმით დაავადებული ელემენტები. რა მოხდა ამ ერთი წლის განმავლობაში, რასაც ოდნავ მაინც შეერყიოს ყრილობის მიერ აღებული ხაზი და მისი სიმრუდე რამდენადმე მაინც დაემტკიცებინოს.

არაფერი. პირიქით, ყველა ფაქტები, თვითეული დღე ყრილობის შემდეგ უფრო და უფრო ამტკიცებდა ყლილობის დასახულ კურსისადმი რწმენას და ყოველივე ყოყმანობის, ორეროფობის შესაძლებლობას თან და თან აქარწყლებდა.

ერთად ერთი, რასაც ჰქონდა ადგილი ყრილობის მიერ მიღებულ ღონისძიებათა საწინააღმდეგოთ მთელი წლის განმავლობაში—ეს იყო არალეგალურ ცეკას მიერ წარმოებული პროვოკაცია ცალკე ამხანაგების წინააღმდეგ და საზიზღარი მკვლელობა ამხ. გიორგაძის. ამით მან კიდევ უფრო დააჩქარა აღსასრულის დღის მოახლოება და სოც.-დემოკრატიას ჩვენში დათვური მეგობრობა გაუწია.

გარდა ამისა, თუ შარშანდელ ყრილობამდე მენშევიკურ პარტიიდან გამოსული ამხანაგები შორეული, გარეშე მაყურებელნი იყვნენ საბჭოთა აღმშენებლობისა ჩვენში და კომპარტიის მოღვაწეობას დაახლოვებით კიდევ ვერ იცნობდენ, წელს ასეთ მდგომარეობას ადგილი აღარ ექნება. ჩვენი ამხანაგების საგრძნობი ნაწილი, მომეტებით მისი მუშურ-გლეხური ელემენტი უკვე მოქცეულია კომუნისტურ პარტიაში და საბჭოთა აღმშენებლობაში უშუალო მონაწილეობას ღებულობს.

დღეს კომუნისტური პარტიის მთელი საქმიანობა, მისი ავკარგიანობა იმდენად გათვალისწინებული და შეგნებული აქვს ყველა ჩვენთაგანს, რომ უფრო გაბედვით, უფრო გადაჭრით შეუძლია მათ გაატარონ პარალელი დემოკრატიულ და საბჭოთა საქართველოს შორის. დღეს, ვიმეორებთ, ამის შესაძლებლობა უფრო მეტი და დასაშვებია, ვიდრე გასულ წელს იყო. ამიტომ მომავალ კრების დასკვნა, მის მიერ არსებულ მდგომარეობის შეფასება განსაკუთრებულ ღირებულებას მიიღებს მშრომელი მასის თვალში.

ჩვენ გვჯერა, რომ აგვისტოს კრების მიერ აღებული ხაზი უფრო მტკიცე და გაბედული იქნება, ვიდრე უკანასკნელი ყრილობის. ჩვენ გვწამს, რომ მომავალ კრების განაჩენი უფრო სასტიკი და დაუნდობელი იქნება, ისედაც სამარის პირზე მდგომ მენშევიკური პარტიისათვის.

ამის სრულ იმედს იძლევა გასული წლის მაგალითები და ამასვე გვეუბნება ჩვენ ჩვენი ქვეყნის აწინდელი შინაური და საერთაშორისო მდგომარეობა.

ორი უკანასკნელი საბუთი

ამ ბოლო ხანს ჩვენ უკვე ხელთა გვაქვს ორი ისეთი დოკუმენტი, რომელიც საკმაოთ ნიღაბს ხდის მენშევიკურ პარტიის ცრუ სოციალისტობას და ყოველივე იქვეს მის კიდევ შესაძლებელ გონზე მოსვლის შესახებ საბოლოოთ აქარწყლებს.

ბევრი დოკუმენტი ჩაუარდა ხელში საბჭოთა მთავრობას ამ სამნახევარ წლის განმავლობაში მენშევიკურ პარტიის კონტრ-რევოლიუციონურ მოღვაწეობის შესახებ, ბევრი საძრახი საქმე ჩაიდინა ამ პარტიამ ფართე მასის თვალში, მაგრამ ყოველივე ამას იმდენი დამარწმუნებული ხასიათი კიდევ არ ქონია, როგორც ორ უკანასკნელ საბუთს.

ჩვენ ვლაპარაკობთ ნოე ჟორდანიას წერილების შესახებ. ეს იმდენად ღირსშესანიშნავია დღევანდელ სინამდვილეში, რომ მაზე შეჩერება აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს.

დღემდი ბევრი გულუბრყვილო მენშევიკი ჰფიქრობდა, რომ ის, რასაც ჩადის მენშევიკური პარტია საქართველოში, კიდევ არ არის, მთელი პარტიის მიერ აღებული ხაზი. ბევრი თავს იმით ინუგეშებდა, რომ ქართულ სოც.-დემოკრატიის ამ სამ წლინახევარის „საქმიანობა“ პარტიის ადგილობრივ უხეირო ხელმძღვანელების და მათი სიბეცის ბრალი არისო. მათ, რომც არ სჯერებოდათ, მაინც უნდოდათ დაერწმუნებიათ თავისი თავი, რომ ეს ასეა და, რომ პარტიის ნამდვილ ჭირისუფლის, მის მამათმთავარის საქმე და სიტყვა სულ სხვა იქნებოდა.

მაგრამ ნოე ჟორდანიას უკანასკნელ ორმა წერილმა ყოველივეს ფარდა ახადა, ყველაფერი მზის სინათლეზე გამოიტანა. პირველ წერილში, რომელიც მიმართული იყო მენშევიკურ პარტიის ყრილობის პრეზიდიუმისადმი და მეორეში, სადაც ის ბრძოლის დირექტივებს აძლევს არალეგალურ ცეკას, ნოე ჟორდანიამ არა თუ დასტურის ბეჭედი დაჭრა მენშევიკური პარტიის „მოღვაწეობას“ და მას სასახელო ატესტატი მისცა—უფრო მეტი, მან ყველას გასაგონათ და დასანახად განაცხადა, რომ მენშევიკური პარტია საქართველოში მისი კომერტონის ხმაზე მღერის, რომ ამ პარტიის ყოველი ნაბიჯი მისი ლოცვა-კურთხევით ხდება.

მაგრამ მშრომელ ხალხს არ სჩვევია ადამიანის „უცოდველ პაპათ“ გამოცხადება, მისი ზეკაცად წამება და თვალ-ახვეული უკან გაყოლა. ერთ დროს ჟორდანია ავტორიტეტის კაცი იყო მენშევიკურ პარტიაში, მაგრამ თუ კი იყო ამ პარტიაში მშრომელი ელემენტები, მათ კაი ხანია, რაც იწყეს ზურგის შექცევა თავის ლიდერებისადმი. პარტიიდან გასვლის, მენშევიზმისგან განშორებასთან ერთად ის დღითი-დღე ეთხოვებოდა ამ პარტიის იდეოლოგებსაც.

დღეს ეს მასა აშკარად ხედავს, რომ მენშევიზმი ჩვენი ქვეყნის სხეულზე ბრმა წელად გადაიქცა, მას კარგათ ესმის, რომ მენშევიკურ პარტიის მიერ აღებული გეზი რევოლიუციის დამარცხებისკენაა მიმართული. ამიტომ მის ყურს არ ეკარება მენშევიკურ პარტიის გადახვეწილ უკვე ხმარებიდან გამოსულ ლიდერების ბრძოლისაკენ ძახილი.

ისინი გაიქცენ რევოლიუციას და კაპიტალიზმის მზის ყურზე გვერდებ მოთმობილი ერთი მეორეზე უგზავნიან ქართველ მშრომელ ხალხს აჯანყების ფართე გეგმებს, რომელიც თავის უსუსურობით ბავშვსაც სიცილს მოგვრის.

ყველასათვის აშკარაა, რომ მენშევიკების ასეთ ჩხირკედელაობიდან არაფერი გამოვა. ნ. ჟორდანიას უკანასკნელი აჯანყების ფანტასტიური გეგმა ჩვენ მოგვაგონებს წყალში გადავარდნილის მდგომარეობას, რომელიც გადასარჩენად თავის ფეხს ებღაუჭებოდა.

მხოლოდ ეს-კი მართალია, რომ ამ წერილმა დიდი სამსახური გაუწია ქართველ მშრომელ ხალხს, რომლის სისხლითაც ასე უსირცხვოთ ვაჭრობენ გადახვეწილი და შინ მჯდომი თითო ოროლა დაუცხრომელი მენშევიკები.

ამის შემდეგ ნურვინ უბნევს ღილებს ტანგაცარცულ მენშევიკურ პარტიას; ჟორდანიას უკანასკნელი წერილის წამკითხველი ვეღარ გაუწმენდს ნისკარტს ავანტიურის მორევში გადაჩეხილ ქართულ სოც.-დემოკრატიას.

მოვემზადოთ

ახლოვდება ერთი ფრიად საინტერესო დღე.

ახლოვდება 25 აგვისტო...

საქართველოს ისტორიაში ეს დღე დაუვიწყარი იქნება...

შეიძლება დღეს ჩვენ ვერ ვაფასებდეთ ამ დღეს ისე, როგორც საჭიროა...

მაგრამ მოვა დრო, წლები და ეს დღე მიიღებს მნიშვნელოვან სახეს...

დაქსაქსული მუშათა კლასი ამ დღეს ერთიანდება...

ეყრება მტკიცე საძირკველი მთლიან მუშათა კლასის მთლიან ოჯახს..

გამწვავებული მდგომარეობა პარტიებ შორის ქრება...

ძველი შეცდომები გასწორებულია...

ძველი გზა უარყოფილია..,

და მუშათა კლასი დგება რევოლიუციის იმ გზაზე, რომელიც გაამართლა ისტორიამ...

ჯერ 12 ათასი მუშა მენშევიკი, შემდეგ 5 ათასი ახალგაზრდა მარქსისტი უერთდებიან ოქტომბრის რევოლიუციას...

ეს რაზმი თანდათან იზრდება.

და ერთი მძლავრი პარტია საქართველოში, მენშევიკების პარტია, ბარდება ისტორიის არქივს თავისი საბედისწერო შეცდომებით, ღალატით, მრუდე გზით...

25 აგვისტოს ჩაბარდა ისტორიის ფურცლებს მენშევიკური პარტია საქართველოში...

25 აგვისტოს დაგვირგვინდა ამ პარტიის ლიკვიდაცია...

და მშრომელი მასსა გაერთიანდა კომინტერნის დროშის ქვეშ.

25 აგვისტო საქართველოს მუშათა კლასის ერთი ნაწილის ყვითელ სოციალიზმისგან განთავისუფლების დღეა.

ყვითელი სოციალისტური პარტიები უნდა დაიშალოს საერთაშორისო მასშტაბით.

აქეთკენ მიდის მუშთა კლასის შეგნება...

აქეთკენაა რევოლიუციის ისტორიული გზა...

ის, რაც მოხდა საქართველოში შარშან, 25 აგვისტოს, ხდება ყველა ქვეყნებში. მაგრამ ხდება ნელი ნაბიჯით...

და ეს პროცესი წავა სწრაფი ნაბიჯით წინ მაშინ, როცა მუშათა კლასი აშკარად დაინახავს მეორე ინტერნაციონალის ღალატს.

ეს დრო მოახლოვებულია...

ღალატი თვალ წინაა...

საჭიროა მხოლოდ თვალების გახელა და სიმართლის პირდაპირ თქმა.

ამ სიმართლეს იტყვიან სხვა ქვეყნის მუშებიც...

და მაშინ დაინგრევა უკვე ძირჩანგრეული მეორე ინტერნაციონალი...

ახლოვდება 25 აგვისტო... ისტორიული დღე ჩვენს ცხოვრებაში.

მოვემზადოთ ამ დღის შესაფერად ჩატარებისათვის..

ვიმეცადინოთ, რომ წლის თავზე არც ერთი მუშა არ დარჩეს მენშევიკურ პარტიაში ..

ვიმეცადინოთ, რომ გზადაბნეული თუ კი ვინმე არის გარეთ, ჩქარა მონახოს სწორი გზა..

ვემზადოთ ამ დღის ღირსეულად ჩატარებისათვის...

ა. რუხაძე.

ნოე ჟორდანიას უკანასკნელი წერილის გამო

თუ თავის წინა წერილში, რომელიც ჩვენს მიმართვის საპასუხოთ იყო დაწერილი, ნოე ჟორდანიამ გამოაშკარავა, რომ რევოლიუციის გზაზე შემდგარ მუშებთან და გლეხებთან მას საერთო აღარაფერი ჰქონდა, თუ მაშინ მან დაამტკიცა, რომ საზღვარ-გარედ მოკალათებული საქართველოს მენშევიზმის ნამსხვრევები საბოლოოდ მოსწყდენ რევოლიუციის საქმეს, უკანასკნელი წერილით ნოე ჟორდანიამ აშკარათ გადადგა ფეხი ავანტიურისტების ბანაკში და ხმა მაღლაც განაცხადა ამის შესახებ.

ნოე ჟორდანიას უკანასკნელი წერილი შუქს ფენს იმ გზას, რომელზედაც შემდგარა განწირული ბელადები. ეს საუკეთესო დოკუმენტი გამომხატველია მათი სულისკვეთების, იმედების და უახლოესი სამოქმედო გეზისა.

ჯერ კიდევ შარშან, თითქმის ერთი წლის წინ, როდესაც ჩვენ ვსცილდებოდით მენშევიზმის დროშას, ჯერ კიდევ მაშინ ვამბობდით ჩვენ, რომ მენშევიკური პარტია ავანტიურიზმის, შეიარაღებული აჯანყების, ინტერვენციის გზაზე იყო შემდგარი. რევოლიუციონურ მშრომელ მასებს ამ გზით სიარული, იმ მეთოდებით ბრძოლა, რომელსაც სოციალ-დემოკრატია მიმართავდა, არ შეეძლო და ის მას გასცილდა კიდეც.

ჩვენ ვამბობდით, რომ ინტერვენციის იმედით სულდგმულობს მენშევიზმი საქართველოში, ჩვენ ვთქვით, რომ უცხო ძალების იმედით ებრძვიან ისინი მშრომელთა რესპუბლიკას და ამიტომ ვსცილდებით ამ პარტიის რიგებს-თქო.

მაშინ მენშევიკური სექტის არალეგალურმა ცეკამ, მოგვნათლა „მხდალებათ“, „პროვოკატორებათ“, ჩეკის აგენტებად და სხვა... გზა და გზა კი უტიფრად აცხადებდენ თავისა ფურცლების საშუალებით:

ინტერვენციის მომხრე სოციალ-დემოკრატია არ არის და არც იქნებაო“.

ეხლა-კი ყველა დარწმუნდება ჩვენს სიმართლეში. მართალი ვყოფილვართ ჩვენ, როცა ვამბობდით, რომ მენშევიკური ცეკა ყაჩაღებთან და ავანტიურისტებთან არის დაკავშირებული-თქო.

ამის დასამტკიცებლათ, ნოე ჟორდანიას უკანასკნელი წერილიდან ზოგიერთი ადგილების მოგონებაც საკმარისია.

დღეს უკვე ნიღაბახდილი საქართველოს მენშევიზმის მამამთავარი აშკარათ მოუწოდებს ქართველ მშრომელ მასებს:

— აჯანყდით, შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეთ მთავრობას — გაიძახის ის თავის უკანასკნელ წერილში.

რა უნდა ნოე ჟორდანიას?

მას, როგორც სჩანს, უნდა გამოიწვიოს საქართველოში და ამიერ-კავკასიის სხვა ერებშიაც საშინელი სისხლის ღვრა, არევ-დარევა. აჯანყებების საშვალებით სურს მას დასცეს საქართველოს, სომხეთის და ადერბეიჯანის საბჭოთა ხელისუფლება და აღადგინოს კვლავ ბეგების, ხატისოვების და მისი მთავრობა.

აჯანყების შემდეგ ნოე ჟორდანია შემოუძღვება საქართველოში და ამიერკავკასიაშიც დასავლეთის იმპერიალისტების ჯარებს.

მაშ რა არის ეს, თუ არ ნამდვილი ინტერვენცია?

დღემდის თუ ნოე ჟორდანია საქართველოს კონტრრევოლიუციის მეთაური იყო, დღეს ის უკვე ამიერ-კავკასიის კონტრ-რევოლიუციის ბელადათაა გადაქცეული.

ანიძე.

ავანტიურის პარტია

ბრძოლა მიზანზეა დამოკიდებული. მოქმედების ხასიათი ხშირად იმით განისაზღვრება, თუ რა მიზანს ისახავს ესა თუ ის ჯგუფი.

რა მიზანს ემსახურება დღეს მენშევიკური პარტია ჩვენში (თუ შეიძლება მაზე ლაპარაკი, როგორც პარტიაზე).

ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მის დასამხობად; დამარცხება ოქტომბრის რევოლიუციის; მუშათა დიქტატურის აფეთქება. ეს ყოველივე, რა თქმა უნდა, მონათლულია იმავე კლასის, პროლეტარიატის, კეთილდღეობის სახელით, რომლის მესარჩლეობის დაჩემებას ასე უტიფრად ჰბედავს კიდევ მენშევიკური პარტია.

ცხადია ამ მიზნის განხორციელებას აკლია ის უმთავრესი მასალა, რომელზე ლაპარაკიც ასე ხშირად უყვარდა ერთ დროს ჩვენებურ სოციალ-დემოკრატიას: ობიექტიური პირობები, მასის ორგანიზაციულად დარაზმვა და შეთანხმებული ფართო მასშტაბით შეტევა, მაგრამ ეს იყო წინად, როცა ამ პარტიის ჰეგემონია შეურყეველი იყო საქართველოში. დღეს კი სრულიად არ იქნება გადაჭარბებული, თუ ჩვენ ვიტყვით, რომ მენშევიკური პარტია, როგორც ორგანიზაციულად დარაზმული მძლავრი ფაქტორი, ერთხელ და სამუდამოთ გაჰქრა ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ჰორიზონტიდან. დღეს მის კარავს ყველა ბედის მაძებარი მაწანწალა აფარებს თავს. კლასიურ ბრძოლის ცეცხლში გაკაჟებული სოციალ-დემოკრატიის მუშათა ელემენტი მას საბოლოოთ გამოეთიშა და ოქტომბრის რევოლიუციის დამცველთა რაზმში მოექცა.

აშკარაა ამის შემდეგ, რომ მენშევიკური პარტია ვერ გავა ფონს მის საფარ ქვეშ მყოფ ელემენტების ამარა. ყოველი მისი მოწოდება შავი ზრახვების სისრულეში მოყვანისკენ მიმართული ჭინჭრაქის ტრაბახით რჩება, ფუჭი ოცნება გახდა რაიმე ორგანიზაციული, მასიური მოძრაობა უმასოთ, რომელიც მენშევიკურ პარტიას ჩვენში დღეს თოფის სასროლზე აღარ ეკარება.

მაგრამ ბრძოლის აზარტით შეპყრობილი, თბილ ბუნაგიდან გაძევებული ძველი მენშევიკური არისტოკრატია თავისას არ იშლის.

რა უყოთ, რომ ერთ დროს მას სწამდა ძალთა-რეალურ განწყობილების ანგარიშის გაწევის საჭიროება. რა უყოთ, რომ იგი წინააღმდეგი იყო ავანტიურის გზით სიარულის. დღეს მისი საქმე საბოლოოთ წაგებულია. მას ფეხზე ჰკიდია უდანაშაულო ხალხის ტანჯვა-ვეება.

თუ შეისხა ხორცი მისმა შავმა ზრახვებმა, ხომ კარგი, თუ არა და ის მაინც თავზე არაფერს აგებს.

ასეთია დღეს მენშევიკური პარტიის ნამსხვრევების ხელმძღვანელთა მოქმედების გზა. დაიკარგა, გაჭრა სამუდამოთ რევოლიუციონური მიზანი, რომლის გარშემოც თავს უყრიდა ერთ დროს სოციალ-დემოკრატია ფართე მასას.

ამიტომ თუ ერთ დროს სიტყვით მაინც ლაპარაკობდა ქართული სოციალ-დემოკრატია მარქსისტულ მეთოდებით ბრძოლაზე, თუ ის სხვას თრგუნავდა და ტუქსავდა ანარქისტულ გამოსვლებისათვის, დღეს მან ამის უფლება სავსებით დაჰკარგა. დღეს იგი პირწავარდნილი ავანტიურისტული პარტია გახდა, დღეს მენშევიზმი ჩვენს სინამდვილეში პოლიტიკურ დარდიმანდობის და წაჯექ-უკუჯექობის ნამდვილი განსახიერებაა.

ქართველი მშრომელი ხალხის თვალში მენშევიზმი და ავანტიურიზმი სინონიმად, ერთმნიშვნელოვან სიტყვად გადაიქცა.

ამიტომ ყველა, ვისთვისაც ძვირფასია მშრომელი ხალხის კეთილდღეობა. ვისაც სწადია ჩვენი ქვეყნის წარმართი გზით სვლა და მის პირ-ვარამზე გული შესტკივა, — უნდა სავსებით გაემიჯნოს მენშევიკურ პარტიას.

აქ ორპოფობას და ყოყმანობას ადგილი არ უნდა დაურჩეს. დიდი ჭკუის გარჯა არაა საჭირო, რომ მენშევიკური პარტიის ანტირევოლიუციონური ბუნება ყველასათვის თვალსაჩინო გახდეს. არც ბევრი ფაქტების ჩამოთვლა და „ნებისითი ,თუ უნებლიეთ ცოდვების“ ძებნაა საჭირო. ყოველი ნაბიჯი მენშევიკურ პარტიის მიერ გადადგმული რევოლიუციის საზიანოდაა მიმართული.

უნდა შეიგნოს ბოლოს და ბოლოს მენშევიკურ პარტიის ყველა პატრიოტმა, რომ ამ პარტიამ მოსჭამა თავის წუთი სოფელი, რომ ის ზედმეტ ბარგად ჰკიდია ახალ ცხოვრებას და მის წინსვლას აბრკოლებს.

უნდა შეურიგდე ბოლოს და ბოლოს ამ მწარე სინამდვილეს და ხელაღებით უკუაგდო შემცდარი გზა. ტყვილა ნურავის ჰგონია, რომ გადაჭინებული, ფანატიკური სიყვარული პარტიისადმი, როცა დარწმუნებული ხარ მის უნიადაგობაში, უფრო მეტი რევოლიუციონერობა იყვეს, ვიდრე აშკარა სინამდვილის გულადით აღიარება და სიმართლის ხმისაკენ დაბრუნება.

ძველი.

ხელშეკრულება სპარსეთთან

3 ივლისს თეირანში ს. ს. რ. სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ამხ. შუმიაცკიმ და სპარსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ხელი მოაწერეს სავაჭრო ხელშეკრულებას ს. ს. რ. კავშირსა და სპარსეთს შორის.

ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ხელშეკრულებას მთელი კავშირისათვის და განსაკუთრებით ამიერ-კავკასიის ფედერაციისათვის.

ეს ხელშეკრულება, როგორც ვიცით, ჯერ კიდევ შარშან იყო მზად, მაგრამ სპარსელ ფეოდალების და ანტანტის ინტრიგების წყალობით მისი ხელის მოწერაც შეფერხდა.

ჩვენს და სპარსეთს შორის სავაჭრო ურთიერთობის მოწესრიგება, რასაკვირველია, გააღონიერებდა, პირველ ყოვლისა, სპარსეთის ახალგაზრდა სავაჭრო ბურჟუაზიას, ხელშეკრულება ფართე გზას გაუხსნიდა მას სამოქმედოთ და სამუშაოთ, ეს კი საზარალო და მიუღებელი იყო ფეოდალების ბატონობისათვის.

ამიტომ იყო, რომ შარშან ფეოდალების მახინაციების შედეგით შეფერხდა ჩვენსა და სპარსეთის შორის ხელშეკრულების დადების საქმე.

ანტანტის მხრივ ამას ხელს უშლიდა განსაკუთრებით ინგლისი, 1917 წლის რევოლიუციის შემდეგ სპარსეთის მდიდარი ბაზრები უმთავრესად ინგლისის გავლენის ქვეშ მოექცა, ინგლისის კაპიტალი თარეშობდა სპარსეთის მიწა-წყალზე უცილოდ და სპარსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაზეც შესაფერის გავლენას ახდენდა, ჩვენსა და სპარსეთს შორის ხელშეკრულების დადებით ინგლისის მყვლეფელთა ბატონობას დიდი საფრთხე მოელოდა სპარსეთში და გასაგებია ამიტომ, რომ მის მიერ ყოველგვარი ზომები იქნებოდა მიღებული ჩვენი ურთიერთობის განახლების არ დასაშვებათ.

ამ შემთხვევაში სპარსეთის ფეოდალების და ინგლისის ბანკირების ინტერესები ერთგვარი აღმოჩნდა

დღეს მიუხედავათ შეერთებული წინააღმდეგობისა მათ მხრივ, ჩვენსა და სპარსეთს შორის სავაჭრო ხელშეკრულება დადებულია. ამით კიდევ უფრო გამტკიცდება და გამაგრდება კავშირი აღმოსავლეთთან, დაჩაგრულ მშრომელ მასსებთან. ეკონომიური ურთიერთობის განახლება კიდევ მეტად გააცნობიერებს ჩვენ საერთო ურთიერთობას, რაც ხელს შეუწყობს აღმოსავლეთის გამოფხიზლებას და რევოლიუციის ფართე გზაზე გამოსვლას. მაგრამ ხელშეკრულების დადებს ის მნიშვნელებაც აქვს, რომ ის ერთხელ კიდევ ააშკარავებს და ამტკიცებს ჩვენი რესპუბლიკების კავშირის გამაგრებას და განმტკიცებას.

კლდე

თბილ. ტრამვაი კოჯორამდის

თფილისის ქალაქის ტრამვაის დირექტორმა ჩვენი ჟურნალის თანამშრომელთან საუბრის დროს შემდეგი განაცხადა კოჯორში ტრამვაის გზის გაყვანის შესახებ.

ეს საკითხი ჯერ კიდევ მეფის მთავრობის დროს იყო აღძრული, მაგრამ ის კანცელარიის არქივებს იქით არსად წასულა. მისი პრაქტიკულ ნიადაგზე გადატანა ვერ მოხერხდა 1914 წლამდი. საერთაშორისო ომის დროს-კი ის საესებით მიიჩქმალა და გადაიდო განუსაზღვრელ დროისათვის.

მეფის დაცემის შემდეგ, როცა ქალაქი მენშევიკების ხელში გადავიდა, ამ საკითხმა მაინც ვერ დააღწია თავი კანცელარიების მტვრიან შკაფებს.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ შესძლო ათეულ წლების განზრახვის საქმიან ნიადაგზე დაყენება.

ამ გზას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თფილისის ღარიბ მცხოვრებათათვის, რადგან ის უახლოვდებს სააგარაკო ადგილებს ქალაქის მცხოვრებთ. შეძლებული ელემენტი ისედაც არ არის მოკლებული საშვალებას აგარაკებზე მგზავრობის, რაც შეეხება მშრომელ მასის ფართე ნაწილს, მისთვის დიდ შეღავათს წარმოადგენს უქმე დღეებში მაინც ქალაქის მტვრიან ქუჩების გაშორება და სუფთა ჰაერზე მოსვენება.

მთელი გზა 9 ვერსამდი იქნება სიგრძით, მდებარეობის გამოკვლევა უკვე დაწყებულია და ჯერჯერობით კარგ იმედებს იძლევა. გზა ადგილ-ადგილ ტყით დაბურულ რაიონებში გაივლის. დაახლოებით მთელი გზის მოწყობა ოთხასი ათასი მანეთი დაჯდება. მთელ ხარჯებს კისრულობს ქალაქის აღმასკომი.

ამჟამად დაკვეთა გაგზავნილია და ახლო მომავალში „იუგოსტალი“ გზავნის თფილისის ტრამვაისათვის რელსების ახალ პარტიას. მიღებული ახალი რელსები დაიგება ქალაქის ხაზზე და განთავისუფლებული ნაწილი-კი მოხმარდება კოჯორის გზას, რადგან იქ მოძრაობა უფრო ნაკლებია.

კოჯორის ტრამვაი, სანამ ზემოავჭალის სადგური არ დასრულდება, ივლის საკუთარი, დამოუკიდებელი ენერგიით, ის არ იქნება შეერთებული არც ქალაქის ტრამვაის ცენტრალურ სადგურთან ენერგიის მისაღებათ. ერთ რონოდაზე, რომელსაც მოებმება კიდევ სამი ერთად, მოწყობილი იქნება ნავთის მამოძრავებელი, ელექტრონის მანქანა, რომელიც ატარებს სხვა დანარჩენებს თავისთან ერთად.

თუ რაიმე მოულოდნელ გარემოებამ არ შეაფერხა საქმის მსვლელობა, სამუშაო დასრულდება დაახლოებით ერთ წელიწადში.

ცნობები, რომელმაც ამ ბოლო ხანებში თფილისის გაზეთები მოიარა, თითქო მცხეთისაკენაც ასეთი გზის გაყვანის განზრახვა იყვეს, ყოველივე სიმართლეს მოკლებულია.

ლუნაჩარსკის მოხსენების გამო

30 ივნისს ამხ. ლუნაჩარსკიმ წაიკითხა ლექცია ხელოვნების დარგში მომუშავეთათვის. ჩვენ შევეხებით ამ ლექციის მხოლოთ იმ ადგილებს, რომელთაც აქვთ დიდი, სასიცოცხლო, ისტორიული და რევოლიუციონური მნიშვნელობა ქართული ხელოვნებისათვის*).

შემცდარია ის აზრი და უბადკური, არა რევოლიუციონერი და არც კულტურული ადამიანია ის, ვინც უარყოფს ხელოვნების მნიშვნელობას რევოლიუციონურ ხანაში. შემცდარია ისიც, ვინც პროლეტარული კულტურის შექმნაში ანგრევს და აფუჭებს, ჭკლავს და ახრჩობს არაპროლეტარულ კულტურას მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ის არ არის პროლეტარული.,

ამხ. ლუნაჩარსკი ავტორიტეტია არა მარტო როგორც სახალხო კომისარი, არამედ როგორც კულტურული ადამიანი და დახელოვნებული ლიტერატორი. ვის, ვის, მაგრამ მას ვერ დავსწამებთ ორჭოფობას, მე გულწრფელად ვუსურვებდი ჩემს ქვეყანას შეექმნას თავისი ლუნაჩარსკი, მაშინ მისი პროლეტარული კულტურა დადგებოდა საკუთარ ფეხებზე, არ იქნებოდა სხვისი შემყურე, მაჩანჩალა; ექნებოდა მას თავისი სახე, თავისი სიმძიმე—დღეს კი ბევრი რამ ასეთს მოკლებულია ის.

ამხ. ლუნაჩარსკიმ სთქვა: შემოქმედებას სჭირია თავისუფალი ატმოსფერა; ჩვენ ვსწავლობთ, შესწავლის, ცდის პროცესში ვართ და უნდა ვისარგებლოთ ძველი კულტურით, ძველი შემოქმედებით, იქ მოიპოვება ისეთი რამ, რაც უნდა შევისწავლოთ კიდევო; ფუტურიზმი ბურჟუაზიული აზრის გარყვნილებისა და გაკოტრების გამომხატველია, მაგრამ ჩვენ ვაძლევთ ფუტურისტებს შემოქმედების საშუალებას. შემოქმედებას, როგორც განცდის გამოხატულებას, კავშირი აქვს წინამორბედი შემოქმედებასთან; უარყოფ ერთი ხანის შემოქმედებას—ვერ შექმნი მეორისასო; ნაციონალური კულტურა, ნაციონალური შემოქმედება და ხელოვნება საჭიროა. საკაცობრიო და სარევოლიუციო სალაროში მას შეაქვს თავისებური ინდივიდუალობა. ამ მხრივ ამიერ-კავკასიის ერებს დიდი საინტერესო სარბიელი აქვთ; ევროპისა და აზიის შუა მომწყვდეულნი თავისებურ კულტურას ქმნიან, თავისებურ განცდებს ატარებენო...

აქ რაც სიტყვაა, იმდენი ჭეშმარიტებაა. მაგრამ ამხ. ლუნაჩარსკის არ სჭირია ჩვენი ქება და ატესტაცია. ჩვენ კი ამ სიტყვების სწორი გაგება გვმართებს, მისი ნაჩვენები გზით სიარული გვესაჭირიება.

დღეს დიდი მუშაობა და ცდებია ჩვენში პროლეტარული კულტურის შესაქმნელად. ვერ მიაღწევს მიზანს ეს მუშაობა იდეალისტური შემოქმედებაზე მექანიკური ზეგავლენით. როდესაც ყოველ დღე ვხედავთ მოწინააღმდეგეთა ხელოვნებას, მისს გზებს, ფორმებს, განცდებს, სულისკვეთებასა და ნიუანსებს—ჩვენს წინაშე იშლება ფართე შემოქმედების ასპარეზი, მაშინ ჩვენ ადვილად მივხედდებით: ასე და ასე არ უნდა ვაკეთოთ, ასე და ასე კი უნდა ვიმოქმედოთ. ტანჯვაა ზოგიერთი ახალგაზრდა მწერლების კითხვა. არ გაძლევს ის ესთეტიურ განცდებს და დაკმაყოფილებას, არ გატკბობს მისი ფორმა; არის შინაარსი, არ არის ფორმა. ხელოვანს ჩვენ ის კი არ უნდა მოვსთხოვოთ თუ **რა** სთქვა მან, მას უნდა ისიც მოვთხოვოთ, თუ **როგორ** სთქვა მან. წინააღმდეგ შემთხვევაში ხელოვნება, პოეზია პუბლიცისტიკად გადაიქცეოდა. გვექნებოდა გალექსილი აზრები, არ გვექნებოდა თვით ლექსი. შემცდარია ის აზრი, რომელიც ამბობს თითქოს მუშას არ

*) წერილი მიდის დისკუსიის წესით. რადგან აქ დასმული კითხვა—ბურჟუაზიულ ხელოვნების შესახებ ახალ შემოქმედებაში—ჩვენს სინამდვილეში მწვავე საკითხია, რედაქცია კიდევ მოათავსებს ამ თემაზე რამდენიმე წერილს. **რედ.**

ᲑᲣᲠᲟᲣᲐᲖᲘᲣᲚᲘ ᲙᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ

ვერსალის ხელშეკრულების გაკოტრების დასაწყისიდან, თანამედროვე კაპიტალისტურ სახელმწიფოების საერთაშორისო პოლიტიკაში იბრძვის ორი მსოფლმხედველობა—კონცეპცია, ერთი მათგანია ინგლისის ბურჟუაზიის უმრავლესობის, იტალიის საქმიან წრეების და და საფრანგეთის ბურჟუაზიულ გავლენიან წრეების აზრი, რომ ეკონომიური კრიზისი და უმუშევართა რიცხვის ყოველ წლიური ზრდა შეიძლება აცილებულ იქნას ევროპის ქვეყნების საბჭოთა რუსეთთან და გერმანიასთან თანამშრომლობით.

მეორე კონცეპცია ეკუთვნის საფრანგეთის სამხედრო ბანაკს და რეაქციონურ ბურჟუაზიას, რომელთაც უკანასკნელ არჩევნებამდე სახელმწიფოს მართველობის საჭე ეპყრათ ხელში. მათ ჰსურდათ ევროპაში შეექმნათ ახალი შეიარაღებული ბანაკი საფრანგეთის გეგემონიით, რომელშიაც შევიდოდენ პატარა ანტანტა, პოლონეთი, ფინლიანდია, რუმინია და თუ კი საბჭოთა რუსეთის მთავრობა ჩამოგდებული იქნებოდა, ახალი რუსეთიც. ფრანგ იმპერიალისტების აზრით, მხოლოდ ამგვარ კავშირს შეეძლება ხანგრძლივად უზრუნველჰყოს საფრანგეთის ბატონობა ევროპაში, მესამე რესპუბლიკის ეკონომიურ მდგომარეობის განვითარებით და გერმანიის ერთდროულად მონაყმათ გადაქცევით, საფრანგეთი გამოიყენებს მას გერმანიის მემკვიდრეობით მტერთან—დიდბრიტანეთთან საბრძოლველად.

ამ გვარივე მილიტარისტულ კონცეპციას იზიარებენ ინგლისის უკიდურესი იმპერიალისტური ჯგუფები, რომელთაც ჰსურდათ თავიანთ დიდბრიტანეტის გავლენის წრეში ჩაეთრიათ: პოლონეთი, რუმინია, ლატვია, სამხრეთ-სლავია და სხვანი. და თუ ამით არ შეიქმნებოდა ინგლისის გეგემონია ევროპაში, ყოველ შემთხვევაში მნიშვნელოვნად შეასუსტებდა საფრანგეთის ბატონობას ევროპის კონტინენტზე. მართლაც ამ დროს ინგლისმა მოახერხა თავის პოლიტიკურ და ეკონომიურ გავლენის განმტკიცება ევროპის მთელ რიგ სახელმწიფოებში—საფრანგეთის ხარჯზედ.

ამ ჯგუფების იმპერიალისტური ლტოლვის სიმძიმის ცენტრი იმყოფებოდა არა მარტო ევროპიულ პოლიტიკაში. ისინი ეყრდნობოდენ მძიმე ინდუსტრიის წარმომადგენლებს და კოლონიების მრეწველობაში და ოკეანეს გარეშე მდებარე ქვეყნებში მბრუნავ სამრეწველო და ფინანსიურ კაპიტალს

ამ ჯგუფს სათავეში უდგა კერზონი და მას მუდამ მხარს უჭერდა რეაქციონური—აღვირ ახსნილი ბურჟუაზია ქვანახშირისა და ფოლადის ინდუსტრიისა. ბალდვინი და კერზონი წარმოადგენენ ორ სხვადასხვა ჯგუფის ინტერესებს. ბალდვინს უჭერდა მხარს სავაჭრო და სამრეწველო კაპიტალი, რომელსაც არ ჰსურდა ევროპის ბაზრის დაკარგვა, ვინაიდან ინგლისის იმპერიის ბაზრები საკმარისათ არ მიაჩნდათ. კერზონი კი წარმოადგენდა რანტიეთა, მემამულეთა და კოლონიებში მომუშავე მრეწველობის პოლიტიკას. ამ ჯგუფებს კიდევ მიემატა სავაჭრო წრის ის წარმომადგენელნი, რომელთაც უნდოდათ მოეხვიათ რუსეთისათვის გარეშე ვაჭრობის მონოპოლია და წარმომადგენელები იმ სამრეწველო კაპიტალისა, რომელიც რუსეთთან არ სთანხმდება იმ პირობებზედ მუშაობას, რასაც საბჭოთა რუსეთი მათ აძლევდა. არჩევნების წინ ინგლისის ბურჟუაზია ორ მტრულად განწყობილ ბანაკათ გაიყო: ფრიტრედერებათ (თავისუფალ ვაჭრობის მომხრენი) და პროტექციონისტებათ. ინგლისი, რომელიც 70—80 წლის განმავლობაში თავისუფალ ვაჭრობის კლასიური სახელმწიფოთ ითვლებოდა, მას შემდეგ რაც მეომარი იმპერიალიზმი გამოვიდა ასპარეზზედ თანდათანობით ხდება თანამგრძობათ როგორც ინგლისში, ისე კოლონიებში ჩინურ კედლების აგებისა უცხო ქვეყნების მეტოქეობის საწინააღმდეგოთ.

ლიბერალური პარტია გამოვიდა თავისუფალ ვაჭრობის დამცველად და კონსერვატორების პროტექციონიზმის საწინააღმდეგოთ და ამტკიცებდა, რომ იგლისი უცხოეთიდან შემოზიდულ ზედმეტ საქონლისაგან კი არ განიცდის გასაჭირს, არამედ გარეშე ვაჭრობის სიმცირისაგანო. საჭიროა ევროპაში სიმშვიდე დამყარდეს და მაშინ უმუშევრობა მოისპობა ინგლისის პროტექციონიზმის შემოღებით და უცხო საქონელზედ დიდი ბაჟების დადებით უმთავრესათ იაპონიას და ამერიკას ურტყამს. ბრიტანეთის მრეწველთა ფედერაციის კომისიამ განმხოლოებულ იმპერიის არსებობის შეუძლებლობა გადაუშალა ინგლისის მცხოვრებთ. ეს განმხოლოების მოთხოვნილება დაიბადა ომის შემდეგ მსოფლიო სავაჭრო კავშირის აღდგენის ასაჩქარებლად. ბრიტანეთის მრეწველობა დღითი დღე ჭკნდებოდა და ფედერაცია შეეცადა გადაეწყვიტა საკითხი: შეიძლება თუ-არა დამპალ ევროპისაგან და კარჩაკეტილ ამერიკისაგან განთავისუფლება და საწინაღმდეგოთ კარჩაკეტილი ბრიტანეთის იმპერიის კოლონიებით დაპირისპირება.

ფედერაციის კომისიამ ისეთი აზრი გამოიტანა, რომ ინგლისის გაჭირვება შინაური და თავის კოლონიების ფარგლებში ვაჭრობის გაჩაღებით ვერ იქნება აცილებული და უსაფუძვლო შეხედულებაა. შინა და გარეშე ვაჭრობის საერთაშორისო დამოკიდებულება 10 წლის განმავლობაში უცვლელად დარჩა. ინგლისის წარმოება შეგუებულია ევროპის განათლებულ მოსახლეობასთან. ამავე დროს ინგლისის კოლონიების უმრავლესობა მოსახლეობის ფერად მასებს ეკუთვნის, რომელნიც განვითარებისა და კულტურის დაბალ საფეხურზედ დგანან. ამ მოსაზრებით ევროპასთან ვაჭრობა არავიფარ შემთხვევაში არ შეიძლება კოლონიებთან ვაჭრობას შეედაროს.

ერთდროულად თუმცა კოლონიები წარმოადგენენ ნედლ მასალის წყაროებს, მხოლოდ იქ აღნიშნულია საკუთარი ფაბრიკის წარმოების შექმნის მიდრეკილება. ამ მიდრეკილებას ბრიტანეთის კაპიტალმა მხარი უნდა დაუჭიროს და ხელი შეუწყოს და თვითონ მაქსიმალური მონაწილეობა მიიღოს ამ სარეწაებში და ინგლისიდან საქონლის გაზიდვა უნდა კაპიტალის გაზიდვით შეიცვალოს.

კოლონიების მიერ შექმნილი ნედლი მასალა მხოლოდ შიგნით იმპერიის მოთხოვნილებით არ ამოიწურება და მას სჭირია გარეშე ბაზარი. იმპერიის მრეწველობის სრული განვითარება მოითხოვს ცხოვრების ნორმალურ პირობების აღდგენას ქვეყნიერების დანარჩენ ნაწილებში, რომელნიც თავისდროზედ კოლონიალურ ნედლი მასალის მომხმარებელ—მყიდველები იყვენ. ერთის სიტყვით იმპერიას არ შეუძლია კარჩაკეტილი პოლიტიკა აწარმოოს: მრეწველობა საერთაშორისო გადახლართული აქტია და სანამ ევროპა არ იქნება აღდგენილი, შინავაჭრობის განვითარების ზრდა მოსალოდნელი არაა.

უნდა ან არ შეუძლია ფორმის განცდა: თუ არ უნდა—უკეღმართი აზრის შეთვისების ბრალია, თუ არ შეუძლია ვალდებული ვართ ამ განცდის შესაძლებლობა მივსცეთ. ამ მხრივ აუცილებელია სწავლა „იმათთან“. ჩვენ ფუტურისტებზე ლაპარაკი ზედმეტია. მაგრამ გვყავს ხელოვნები, რომელთაც შეთვისებული აქვთ გარკვეული ლიტერატურული სკოლა, ამ სკოლას აქვს თავისი შინაარსი და ფორმა, ესენი იძლევიან ბევრს, თუნდაც იმ მხრივ, როგორი გზით არ უნდა ვიდოდეს ჭეშმარიტი ხელოვნება.

აი, მაგალითად, დღეს, ნერვების საშინლათ დაჭიმვის, ნგრევისა და შენების ხანაში, სისხლისა და ცრემლის, ტანჯვისა და ახალი ყოფნის შექმნის ჟამს, ძველი ყოფა-ცხოვრების და განცდის საწინააღმდეგოთ ასს პროპაგანდისტს არა სჯობიან ი. გრიშაშვილის ლექსი „ჩემს ცოლებს?“... ჩვენ ვიბრძვით და მივეჭანებით წინ სენ-ჟუსტის თქმის არ იყოს „ფეხებით სისხლში და ცრემლებით თვალებში“ და ამ დროს მგოსანი მოდის და გვეუბნება: უყურეთ, რამდენი ცოლი მყავსო!.. ვის უნდა ეს? გრიშაშვილის მუზა რომ გრიშაშვილის სატრფოების თუ ცოლების რეგისტრატორშათ გამხდარა. ეს არაა გაკოტრება „წინდა“ ხელოვნების? და საჭიროა ასეთი თვითმკვლელობის საშუალება მოვუსპოთ მათ, ვინც ვერ განიცადა რევოლიუცია?

არაა საჭირო ვამბობ მე.

რა ვუყოთ, რომ არ მოდიან ჩვენთან. დარდი ნუ გვაქვს. ხელოვნებასაც თავისი კანონები აქვს. პოეტი თავისებურათ განიცდის სამყაროს და ცხოვრების მოვლენებს. ჩვენთვის, პროლეტარულ ხელოვნების მუშაკთათვის, საჭიროა მოწინააღმდეგეთა განცდის განცდა, რომ შეცდომები არ ჩავიდინოთ, მეტი ბუნებრივნი ვიყვნეთ. მრავალსხვაობა განცდათა თავდებია ჭეშმარიტი შემოქმედების- არ შეიძლება ერთის ხელის დაკვრით მოსპო მთელი ლიტერატურული მიმართულება. ამ მხრივ მეტი სიფრთხილე გვმართებს და ნაკლები ის, რასაც ლუნაჩარსკიმ უწოდა „пролетчванство“. Чванство-ს და ზვიადობას არა აქვს რა საერთო ხელოვნებასთან. ეს ზვიადობა და ფეხმოკლე ამპარტავნობა თავიდან უნდა მოვიშოროთ. ეს არცაა ჩვენი კუთვნილება. ეს გადაგვარებული და გზა აბნეული ბურჟუაზიის მწერალთა ხვედრია.

პროლეტარული ხელოვნება საბოლოო სიტყვა არაა. ის საფეხურია, რომელსაც გადააბიჯებს სოციალისტური საზოგადოება და შექმნის უკლასო ხელოვნებას. ეს კი იქნება საბოლოო სიტყვა ხელოვნებაში,

როდიონ ჭორჭია

ინგლისის ევროპისაგან განშხოლოების პოლიტიკურმა და ეკონომიურმა პროგრამამ 1923—1924 წ. არჩევნების დროს გადამწყვეტი მარცხი განიცადა. აზიისა და ოკეან გარეშე პოლიტიკის მომხრენი დამარცხდენ და ევროპის ორიენტაციის მომხრეებმა გაიმარჯვეს.

ევროპის აღდგენისა და უპირველესათ რუსეთისა და გერმანიის პირველ რიგში, ინგლისის კრიზისისაგან გადასარჩენათ და უმუშევართა რიცხვის შესამცირებლად, რომელიც ინგლისში $1^1/_2$ მილიონ შეადგენს, ბურჟუაზიის წრეებში ბევრი მომხრენი მიიზიდა.

ამ გვარად გადახლართულ გარემოებაში ევროპის ყოველმა სახელმწიფომ შეიგნო ეს აუცილებელ პირობათ—ევროპის აღდგენა და იურდიულად საბჭოთა რუსეთის ცნობა. ერთი საფრანგეთი ჯიუტობს ჯერჯერობით და უნდა ვიფიქროთ, რომ ახლო მომავალში იგიც იძულებული იქნება იცნოს საბჭოთა რესპუბლიკები.

მთიული.

წარსულიდან

რვა მუშის ისტორიისათვის

(გაგრძელება)

ბინადრობის მხრივ, ასე მაგალითად, ჭიათურა, ფოთი, ტყიბული, შორაპნის და ბათუმის კვალიფიციური და არა კვალიფიციური მუშები დაიქსაქსნენ, ზოგი სოფელს მიეშურა—გლეხი შეიქნა, სხვა აქეთ-იქით წავიდა ლუკმა პურის საძებნელად. ცხადია ასეთ პირობებში ისიც ბარაქალა, რაც გავაკეთეთ, ისიც ერთი წლის „სიხუმით", ჩვენ რომ ჩვენი აზრის თავისუფალი გამოთქმის საშვალება გვქონებოდა, უფრო მეტი გაკეთდებოდა.

საერთო მდგომარეობა ასეთი იყო: პრესაში ჩვენ სამარისებულს სიჩუმეს ვიცავდით ქვეყნის თვალში; ნამდვილად-კი არც ერთ ჩვენს საპასუხო, ან ჩვენი მომხრეების წერილებს არ ბეჭდავდნენ, პრესის კარები ჩვენთვის დახშული იყო. შიგნით პარტიაში (ჩვენზე ხომ ლა„არაკიც მეტია) არც ერთი ჩვენი მომხრე, რომელმაც აშკარა სიმპატია გამოსთქვა ჩვენს მიმართ ორგანიზაციაში, არ დასტოვეს, რასაკვირველია საამისო ფორმალურ დადგენილებას არ ღებულობდნენ ჩვენი გმირი მოწინააღმდეგეები, შაგრამ, როგორც წესი იყო და პრაქტიკა ისე უბრალოდ ჩამოაშორებდნენ ორგანიზაციას.

უნდა ითქვას, რომ ჩვენს წინააღმდეგ მიმართულმა დევნამ ორგანიზაციაში და პრესაში ვერ შეგვაშინა. პირველი „დაბნევის" შემდეგ, წელში გავსწორდით და გადავწყვიტეთ ჩომ ვიბრძოლებდით ბოლომდის. ამ ჩვენმა გადაწყვეტილებამ და მომხრეების ზოგმა მოსაზრებებმა, მიგვიყვანეს იმ დასკვნამდე, რომ საჭირო იყო ჩვენი ძალების მობილიზაცია და კონფერენციის მოწვევა.

კონფერენციის მოწვევის მზადებას შეუდექით, მრავალი ამხანაგები დავგზავნეთ, ზოგან წერილობით შევატყობინეთ კონფერენციის მიზანი, დრო და ადგილი.

პირადათ მე ვიყავით ტფილისში ჩამოსული. კარგად მახსოვს, არსენალის პარტიულ მუშების და ჯარის კაცების კრება მოხდა, ჩემი მოხსენების შემდეგ ერთხმად მიიღეს დადგენილება კონფერენციაზე დასწრების და წარმომადგენლად აირჩიეს ლ. სუხიშვილი. სულ ტფილისიდან იყო არჩეული ოთხი დელეგატი: ლ. სუხიშვილი, პეტრე ავლოხაშვილი, ვ. სუხიშვილი და ი. ჩხიკვაძე.

ჭიათურიდან იყო სამი დელეგატი, ლანჩხუთიდან ერთი, ქუთაისიდან ერთი: რ. კალალაძე, „რვა მუშის" ჯგუფიდან ერთი—მე. ბევრ ადგილებიდან დელეგატები ვერ გამოგზავნეს უსახსრობის გამო. რადგან კონფერენცია მოწვეული გვქონდა ჭიათურაში 1915 წ. ოქტომბერში, ამ დროს ევროპის გავარვარებული დიდი ომის გამო ოსმალეთ-ავსტრია-გერმანიის ბლოკადამ სულ ერთიანად შეაჩერა წარმოება-მრეწველობა, მრავალი საწარმოო ცენტრები „უდაბნოდ" გადაიქცა; მაგ. ჭიათურა, ტყიბული, ფოთი, ყვირილა-შორაპანი მადნეულობის იმპორტის ხაზი. ხოლო დაბა ქალაქებში ისედაც მისუსტებული პარტიულ მაჯისცემა საგრძნობლად მისუსტდა. მაშინდელმა ბლოკადამ უდიდესი გადაჯგუფება მოახდინა მასსაში.

როგორც ზევით აღვნიშნე, კონფერენცია შეიკრიბა ქ. ჭიათურაში 1915 წ. ოქტომბერში განსახილველი ჰქონდა შემდეგი კითხვები: 1. მოხსენებები ადგილებიდან, 2. მოხსენებარვა მუშის" მუშაობაზე, 3. პარტიული თუ არა დღევანდელი კონფერენცია, 4. რა უფლებით სარგებლობს კონფერენცია, 5. არსებული მუშათა ორგანოს მდგომარეობა, 6. ჩვენი მომავალი მუშათა ორგანო, 7. არჩევნები დამფუძნებელ კომისიისა. საჭიროა აღინიშნოს თუ რა მოსაზრებებით იყო გამოწვეული კონფერენციაზე დასმული ზოგი კითხვები, რომელნიც შეიძლება მკითხველს „გაუგებრად" მიაჩნდეს მაგ. მე—3, 4. და 7 კითხვები: ჩვენი გამოსვლის შემდეგ ერთი დღე არ გასულა, რომ რომელიმე უკაცრავად პასუხია ძალად გაჟურნალისტებულ „ლიტერატორს" არ გაველანძღეთ რომელიმე გაზეთის ფურცლებზე და საქვეყნოდ არ ემტკიცებინა, რომ ჩვენ, ამ ძველმა მარქსისტ მუშებმა, ვუღალატეთ ჩვენს ცნებებს, მივატოვეთ ორგანიზაცია და ეხლა ვებრძვით მას, საერთო ატმოსფერა იქმნებოდა, რომ ჩვენ პარტიიდან გაქცეული ხალხი ვიყავით, აქედან ასკვნიდენ, რომ უფლება არა გვქონდა რომელიმე ორგანიზაციისათვის ან პარტიულ ამხანაგისთვის მიგვემართნა, როგორც მის წევრებს და თანასწორ პარტიულ ამხანაგებს, ასეთი კამპანიის პასუხი იყო მე—3 და 4 კითხვები. ხოლო მე 7 კითხვა გამოხატავდა კონფერენციამდე შემუშავებულ საერთო აზრს დამოუკიდებელი ს.-დ. მუშურ ორგანოს დასაარსებლად საორგანიზაციო ანუროგორც ჩვენ ვუწოდეთ, დამფუძნებელი კომისიის არჩევა. იმ დროს ჭიათურა აღარ წარმოადგენდა პროლეტარულ მასების და მოძრაობის ცენტრსა, წარმოების შეჩერების გამო „უდაბნოდ" იქცა და ათ-ხუთმეტ უცხოდ მოსულ კონფერენციის წევრებს შეიძლება, ჟანდარმერიის ყურადღება მიექცია, ამიტომ ვესწრაფეთ კონფერენცია ყოფილიფო საქმიანი და მოკლე დროიანი, ასეც მოხდა. სამი დღის განმავლობაში მოთავდა ყველა კითხვები. თვითეული კითხვა მართალა საფუძვლიანად იქმნა აწონილ-დაწონილი და შესაფერი რეზოლიუციაც მიღებული. პირველი და მეორე კითხვა ინფორმაციის სახით ჩატარდა, მე-3 კითხვაზე კონფერენციამ დაადგინა: რადგან დღევანდელი კონფერენციის ნამდვილი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ დაცულ იქნეს პარტიული მთლიანობა, მიზანი და მისი პრესტიჟი; და აგრეთვე ვცდილობთ **რა პარტიულ დებულების და მუშაობის სწორ ნიადაგზე დაყენებას,** ამიტომ კრება სცნობს, რომ **კონფერენცია სრულიად პარტიული ხასიათისაა.**

მე-4 კითხვა: ვინაიდან კონფერენციის წევრები არჩეული არიან პარტიის წევრებისაგან და გადასაწყვეტი აქვთ პარტ. კითხვები, ამიტომ კონფერენციის დადგენილება სავალდებულოა ყველა ჩვენი ამრჩევლისათვის და მისაღები დანარჩენი პარტიის წევრებისათვის.

მე-5 კითხვა: როგორც პარტ. ორგანიზაციაში, აგრეთვე არსებულ მუშათა ორგანოში გამეფებულია მავნე თვისების მოქმედება, რაც გამოიხატება პარტ. ორგანიზაციების დადგენილებათა დარღვევაში, მუშათა მოსაზრების აბუჩად აგდებაში, მუშათა პრესის კარჩაკეტილობაში... და აქედან გამომდინარე არევ-დარევა პარტიულ მუშათა შორის, პრინციპიალურ და ტაქტიკურ კითხვებში, რომელიც იწვევს პარტიაში დეზორგანიზაციას.

მე-6 კითხვა: დაარსებულ იქნეს მუშათა ორგანო, რაც დაიყო შემდეგ მუხლებად:

ა. შემუშავებულ იქნეს სისტემა მომავალ მუშათა პრესის სახელძღვანელოდ, რომლის მიხედვითაც უნდა მოეწყოს იგი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ეს შემუშავებული სისტემა წარედგინება ოკას მისაღებად, თუ ოკამ მიიღო—დაარსდეს ყოველ-კვირეული ჟურნალი, ხოლო თუ წინააღმდეგ პასუხს მივიღებთ—მაშინ დაარსდეს დღიური დამ ოუკი დებული გაზეთი.

ბ. მუშათა გაზეთი უნდა იყოს **წმინდა მარქსისტული მიმართულებისა, უნდა იდგეს კლასობრივ ბრძოლის თვალსაზრისზე** და იცავდეს **მუშათა კლასის გონებრივ-ზნეობრივ და პოლიტიკურ-ეკონომიურ ინტერესებს.**

გ. გაზეთი უნდა იყოს **უმთავრესად მუშათა კლასის პოლიტიკო-ეკონომიური ბრძოლის იარაღი.**

დ. უნდა იბეჭდებოდეს ყოველგვარი კორესპოდენციები, ქალაქის მუშათა და სოფლის გლეხთა ცხოვრებიდან, თუნდაც ის მცირე მნიშვნელოვანი იყოს.

ე. გაზეთმა უნდა შემოიღოს სადისკუსიო განყოფილება, სადაც უნდა იბეჭდებოდეს ყველა წერილები პრინციპიალურ-ტაქტიკური მორიგ კითხვებზე, სულ ერთია, მუშის იქნება თუ ინტელიგენტის, თუ-კი წერილის შინაარსი არ ეწინააღმდეგება მუშათა კლასის თვალსაზრისს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: იმ წერილებს, რომელსაც რედაქცია არ იზიარებს—უკანასკნელმა შენიშვნა უნდა გაუკეთოს და თავისი შეხედულება გამოაქვეყნოს.

ვ. რედაქცია გარდა სადისკუსიო და მოწინავეი უნდა ბეჭდავდეს სხვა წერილებსაც განურჩევლად ფრაქციისა.

ზ. უნდა იბეჭდებოდეს პატარ-პატარა ლირიკულ ბელეტრისტული ნაწარმოები, რომელ-

ნიც შეიცავენ პროლეტარულ იდეოლოგიას.

ც. სხვათა შორის უნდა იბეჭდებოდეს წერილები სხვადასხვა მეცნიერულ ტემაზედ.

თ. ორგანოს უნდა ჰქონდეს აუცილებლად: იურიდიული, საანკეტო, საფოსტო, სამედიატორო და ღია წერილების განყოფილება.

ი. გაზეთს უნდა ქონდეს აუცილებლად ყოველ-თვიური შემოსავლის და გასავლის საანგარიშო განყოფილება.

ია. კორესპონდენციები იბეჭდებოდეს კორესპონდენტის პირადი პასუხის-მგებლობით, (ხოლო სადაც შესაძლებელი იქნება ტეხნიკურად მოეწყოს პრესის ბიუროები.).

იბ. ის კორესპონდენტი, რომელიც განზრახ შეცდომაში შეიყვანს რედაქციას და საზოგადოებას—ჩამოშორებულ უნდა იქნეს პრესაში მონაწილეობას... (მხოლოდ უნებლიეთი შეცდომა, თუ ამას თავის დროზე გაასწორებს კორესპოდენტი პრესაშივე ბოდიშის მოხდით—არ ექვემდებარება ზემოთ აღნიშნულ წესს).

იგ. თუ რომელიმე ცნობილ მოღვაწის წინაალმდეგ, რაიმე საბრალმდებლო ცნობაა ფოსტული დასაბეჭდათ—რედაქცია წინადადებას აძლევს ორივე მხარეს, რომ სასამართლოში გადაწყვიტონ კითხვა. თუ ბრალდებული სამ. სასამართლოზე უარს იტყვის—წერილი უსათუოდ იბეჭდება.

იდ. გაზეთის ყოველმხრივ ხელმძღვანელობისთვის, ირჩევენ საკანტროლო კომისიას, რომელმაც უნდა შეადგინოს სარედაქციო კოლეგია, პარტიულ ოკასგან დამოუკიდებლად. სარედაქციო კოლეგია არის მხოლოდ აღმასრულებელი დაწესებულება, რომელიც აწარმოებს გაზეთის იდეიურ-ტეხნიკურ: ფინანსიურ საქმეებს, რასაც ყოველ-მხრივ კანტროლს უკეთებს საკანტროლო კომისია, რომელიც შემდეგი წესით ირჩევა: ერთ წევრს ირჩევს ოკა, მეორეს —ის რაიონი, სადაც გაზეთი გამოდის და მესამეს—საგუბერნიო კოლექტივი. საკანტროლო კომისიის მოქმედებას თვალ-ყურს ადევნებს ოკა, თუ ოკამ მოინდომა სარედაქციო კოლეგიის მოქმედებაში ჩარევა, მან ეს უნდა შეასრულოს საკანტროლო კომისიის საშვალებით თუ უკანასკნელი ამის თანახმა იქნება.

მე-7 არჩეულ იქნა დამფუძნებელი კომისია, რომელსაც დაევალა მეექვსე მუხლის სისრულეში მოყვანა და გაზეთის დაარსება, რისთვისაც აწყობს ფინანსიურ საქმეს, თანამშრომელთა მოწვევას, პასუხის-მგებელ რედაქტორის გამონახვას, ნებართვის აღებას და სხვა... მხოლოდ მოაგვარებს-რა გაზეთის საქმეს და გამოცემს რა გაზეთს, იმავე ხანებში მოიწვევს თანამოაზრეთა მეორე კონფერენციას, რათა განაგრძოს გაზეთის გამოცემა მიღებული წესით. დასასრულ მიღებულ იქნა: კონფერენციის ყველა წევრი და ჩვენი თანამოაზრენი ვალდებულნი არიან შემოიკრიბონ თავიანთ გარშემო, რაც შეიძლება მეტი რიცხვი თანამოაზრეთა და შეეცადონ პარტიულ დაწესებულებებში მეტი მომხრენი იყოლიონ, რათა ამ კითხვას მკვიდრი ნიადაგი ჰქონდეს პარტიულ ამხანაგებში, რისთვისაც ყველა წევრი კონფერენციისა ვალდებულია ვრცელი მოხსენება გაკეთოს ყოველ პარტიულ კრებებზედ, სადაც ეს შესაძლებელი იქნება, ჩვენი მოსაზრების, მუშათა პრესის და ამ კითხვის საჭიროების შესახებ".

ეს არის შედეგი კონფერენციისა.

რასაკვირველია, თანამედროვე მკითხველი და მომზადებული ამხანაგები მრავალ „ზედმეტ ბარგს" და წრვილმანს აღნიშნავენ აქ მოყვანილ რეზოლიუციებში, მაგრამ ორი მოსაზრება ამართლებს მათს აღნიშვნას; პირველი, დაე ეს ისტორიული ფაქტი გამოქვეყნდეს სრული, თუნდაც თვისი წვრილმანებითაც. მეორე, იმ ხანაში აქ დასმული კითხვები მართლაც საჭიროებას წარმოადგენდნენ, ავიღოთ მაგ. „გაზეთი უნდა იყოს უმთავრესად მუშათა კლასის პოლიტიკო-ეკონომიური ბრძოლის იარაღი". მუხლი დ. სადისკუსიო განყოფილებაზე, მუხლიც იურიდიულ და საანკეტო განყოფილებაზედ, მუხლი—ი და მუხლი—ია, კორესპოდენტის პასუხისმგებლობაზე, მუხლი—იგ საკანტროლო კომისიაზე, რასაკვირველია ყველა აქ ჩამოთვლილი კითხვები ისე სრულად არ არის ჩვენს რეზოლიუციაში წამოყენებული და გადაწყვეტილი, როგორც დღევანდელ სინამდვილეში, მაგრამ იმ დროს, როცა არც ერთ ამხანაგს საქართველოს სინამდვილეში, არ მოსვლია აზრათ კორესპონდენტების პასუხისმგებლობა, საკანტროლო კომისია, სადისკუსიო განყოფილება და სხვა პირობები, კითხვის ისე დაყენებაც, როგორც ჩვენ დავაყენეთ, მოითხოვდა ბევრათ მეტ ენერგიას, ნებისყოფას, ალღოს და მიღწევას ვინემ ეხლა შეიძლება წარმოიდგინოს მრავალმა ამხ.

ჯაფარიძე.

(შემდეგი იქნება)

ქუჩის ბიჭი

(ადა ნეგრიდან)

ვხედავ ქუჩაზე მოდის ის მარდათ
მთლად ჭუჭყიანი, ჩამოგლეჯილი,
მაგრამ ლამაზი, ცქვიტი, თავხედი
გაჭივრებაში გამობრძმედილი.

———

დახტის, თამაშობს ეტლების შორის,
ძაღლებს ქვებს ესვრის, თან იღიმება.
იქნებ ქურდია საბრალო ბიჭი
და არ რცხვენია, არც ეწაღვლება.

———

მორბის სიცილით... და ვით ეკალი,
ისე იზრდება მარტოკა ტყეში...
ალბათ მუშაობს დედა ქარხნებში
მამა-კი კვნესის საპყრობილეში.

———

იმისი ქოხი უპატრონოა
აღარც ნუგეში, აღარც იმედი...
და მეც ლოდივით გულს მაწევს სევდა,
მწარედ მაფიქრებს ბიჭუნას ბედი.

———

რა ელის იმას... ზარმაცს... გაუზრდელს,
რას განუმზადებს წუთისოფელი?
სიკვდილს, ბნელ საკანს, თუ სახელოსნოს?
პატარა გვრიტო, ნუ თუ მათ ელი?

———

ვინ გაგიძღვება ეკლიან გზაზე,
რისკენ მიილტვის ეგ ნორჩი გული?
მუშა იქნები წრფელი მცხოვანი,
თუ მატყუარა ზნედაცემული?

———

მინდა ჩაგიკრა გულში მხურვალედ;
მინდა მეც შენთან ვიტირო ბევრი,
რომ ასე მტრებად გამხდარა ყველა
და სევდიანი გვერგუნა ხვედრი!

———

მინდა დაჰგკოცნო შუა ქუჩაზე,
მოგიალერსო ამ ჩემ მკლავებში
და გაგამხნევო ტკბილი სიტყვებით,
რომ ამით მოგცე ძმური ნუგეში.

———

მეც შენებრ მარტო და უპატრონოდ,
როგორც ყვავილი ველური ტყეში,
ისე ვცხოვრობდი და ვიზრდებოდი...
მხოლოდ ტირილში, სიღარიბეში.

———

მეც მყავდა დედა მუშად ქარხნებში...
მაშ ჩემ ტანჯვებში თანამოძმე ხარ,
ჩვენ ახლობელნი ვართ ერთმანეთის
და უფრო მეტად მისთვის მიყვარხარ!

ალექსანდრა.

პროლეტარული სტუდენტების ამოცანები სოფლად.

უკვე დამთავრდა სამოსწავლო წელი და პროლეტარული სტუდენტობა სოფლისაკენ მიეშურება, რა—უნდა იყვეს მათი ამოცანა?

კულტურულ ფრონტზე გაათკეცებული მუშაობა და წვრილი გლეხობის გაწრთვნა სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის სფეროში

დღეს უაღრესად დიდი ყურადღება აქვს მიქცეული ხელისუფლებას კოოპერაციის განვითარებაზე, რომ ის დადგეს ფეხზე და ბრძოლა მისცეს კერძო ვაჭრობას.

რა უნდა გაკეთდეს ამ დარგში პროლეტარული სტუდენტობის მიერ? მათ უნდა შეეცადონ, რომ საქმიანი პროპაგანდის საშვალებით შეაგნებინონ წვრილ გლეხობას კოოპერაციის როლი და მნიშვნელობა სასოფლო ვაჭრობაში.

აგრონომიული დარგის პროლეტარული სტუდენტობა უნდა ცდილობდეს, რაც შეიძლება უშუალო კავშირი დაიკავოს წვრილ გლეხობასთან, ასწავლოს შესაძლებლობის ფარგლებში მიწის დამუშავების წესები, მისი განოყიერება და სხვა.

ყოველივე ეს უნდა კეთდებოდეს, როგორც პრაქტიკულად, ისე მოხსენებების საბით.

გაკეთდა თუ არა ამ დარგში რაიმე წინასწარ ჩვენს სახელმწიფო უნივერსიტეტში, როგორც სპეციალური, ისე დანარჩენ ფაკულტეტებზე სამუშაო-გეგმის გამომუშავების სფეროში?

უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ არაფერი არ გაკეთებულა, მოსკოვის სხვა და სხვა უნივერსიტეტებმა ამ მხრივ ბევრი რამ გააკეთეს, სანამ პროლეტარული სტუდენტობა სოფლისაკენ გაეშურებოდა, კეთდებოდა უამრავი მოხსენებები სოფლად პროლეტარული სტუდენტობის მუშაობის შესახებ, როგორც სპეციალურ, ისე დანარჩენ ფაკულტეტებზე.

ეს შეცდომა მომავალ წელში მაინც უნდა გამოსწორდეს.

მაშასადამე, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, პროლეტარული სტუდენტობის მთავარ ამოცანად სოფლად მუშაობაში უნდა შეიქმნას ბრძოლა მსხვილი გლეხობის იდეოლოგიასთან, ხელის შეწყობა კოოპერაციისათვის ყოველ მხრივ და სხ. გლეხობა ნაკლებად ეკიდება ისეთ საზოგადოებებს, როგორიცაა გლეხთა კომიტეტები, ურთიერთ დამხმარე კასები და სხვა მრავალი, რადგანაც მას ყოველ ფეხის გადადგმაზე ჩასჩიჩინებენ, რომ ამ საზოგადოებაში მონაწილეობით მათ წაართმევენ იმასაც, რაც აბადიათ.

აქ საჭიროა გლეხობისათვის ახსნა-განმარტება, გარდა ამისა წმინდა კულტურული მუშაობაც უნდა აწარმოვონ. როგორიცაა წერაკითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია, ქოხ-სამკითხველოებისა და კლუბების მოწყობა მასში უშვალოდ გლეხობის ჩაბმით.

ახსნა-განმარტება იმ წიგნებზე, რომელსაც სცემს ეხლა სპეციალურად გლეხობისათვის შერეული კომისია და სხვა.

პროლეტარულმა სტუდენტობამ ასეთი მუშაობის წარმოება თავის პირდაპირი მოვალეობად უნდა დაისახოს.

ლია.

წყალ-წაღებული ხალხი

ერთი ქართული ანდაზა ამბობს: „წყალ-წაღებული ხავს ებღაუქებოდაო“. სწორედ ასე მოსდის ჩვენს მენშევიკებს. ისინი ისტორიამ სამუდამოდ ჩააბარა არქივს. ეს არ სჯერა ჩვენს ჯიუტ მენშევიკებს, რომლებიც დღეს ევროპაში სასაცილოდ დახეტიალობენ და ვინ იცის თავის სანეტარო დროს უკან და საბრუნებლად რას არ შვრებიან.

გასაბჭოების შემდეგ მენშევიკურმა პარტიამ დაჰკარგა სოციალისტური პარტიის სახე და ის დაუკავშირდა ყველა კონტრ-რევოლიუციონურ ძალებს. როცა ეს დაინახა მუშათა კლასმა, ის მენშევიკურ პარტიას ჩამოშორდა და კომპარტიასთან მივიდა.

მენშევიზმი, როგორც ასეთი მოისპო, მაგრამ აქა-იქ დარჩა მისი ნამსხვრევები. და სწორედ ეს ნამსხვრევები რას სჩადიან თითონ არ იციან. საზღვარ-გარეთიდან მაინც მოსდით დირექტივები და ისინი აქ ფართხალობენ. მაგრამ ბოლოს წყლის ნაყვა გამოუდით. საქართველოს მუშებმა და გლეხებმა და წითელმა არმიამ დაანახვა მათ, რომ მათი ხელისუფლება არსებობს და მისი გადალახვა არავითარ ძალას არ შეუძლიან.

მენშევიკების ბელადები, რომლებიც საზღვარ-გარეთ დახეტიალობენ დროგამოშვებით გზავნიან თავის წარმომადგენლებს საქართველოში, რათა სოც.-დემოკრ. ორგანიზაცია აღადგინონ. მაგ. გამოგზავნეს ბ-ნი ხომერიკი და ბოლოს ბენია ჩხიკვიშვილი. მაგრამ ქურდულად შემოპარული ხომერიკი მალე დაიჭირეს, ხოლო ბენია ჩხიკვაშვილმა კი ამოსუნთქვაც ვეღარ მოასწრო საქართველოში, რომ ჩეკაში ამოყო თავი. განა შეიძლება საქართველოში აღდგეს მენშევიკური პარტია? ან მისი აღდგენა შეუძლია ისეთ „ავტორიტეტს“ როგორიც არის ბენია ჩხიკვიშვილი?.. ბენია ჩხიკვიშვილს, რომელმაც ჯერ კიდევ მენშევიკების ბატონობის დროს თავისი ჭკუა-მოკლეობით, უგუნურებით და გარყვნილი ცხოვრებით დაიმსახურა ზიზღი მშრომელ მასაში, განა მას დაუჯერებს ვინმე?

ის, ვინც იცნობს, თუ დაახლოვებით არა რამდენიმედ მაინც, საქართველოს ეკონომიურ და პოლიტიკურ მდგომარეობას, ვინც იცნობს მუშების და გლეხების განწყობილებას საბჭოთა ხელისუფლების მიმართ, განა გულში გაივლებს საბჭოთა ხელისუფლების დამხობას?

უკვე ფაქტის წინაშე ვდგევართ და ყველა საღად მოაზროვნე ადამიანი დარწმუნებულია იმაში, რომ არ არსებობს არც ერთი ძალა, რომელსაც შეეძლოს საბჭოთა ხელისუფლების დამხობა.

ვინღა დაგრჩათ, ბ-ნო ბელადებო, ეხლა საქართველოში, რომ მენშევიკური პარტია აღადგინოთ და ან ბენია ჩხიკვიშვილს შეუძლია დაღუპული ს.-დ. პარტიის აღდგენა? ტყუილი ოცნებაა, ეს ოცნებაც ისე დაიმსხვრევა, როგორც სხვა ბევრი.

საქართველოს სოც.-დემოკრატიას ვერავინ აღადგენს აწი, თვით დიდი ნოეც უძლურია ამ საქმეში.

ასე ინება ისტორიამ და რას გააწყობთ.

ბოლოს და ბოლოს ყველა უნდა მოვიდეს ჭკუაზე და უნდა დაანებოს თავი მტრობას და განზე დგომას.

ეს ასეც მოხდება, ამაში ჩვენ დარწმუნებული ვართ.

ვ. კ. შენგელია.

მუშათა წერილები

სასაცილოა

დღეს ყველამ იცის, რომ ნამდვილი მუშები და გლეხები, სოც. დემ. პარტიის აქტივი უკვე ჩამოცილდა მენშევიზმს და შეუერთდა კომპარტიას, დადგა კომინტერნის დროშის ქვეშ და ერთი წუთითაც კი უკან არ იხედება, თუმცა ნ. ჟორდანიამ ურჩია მათ გონზე მოსვლა, ჩვენ ნ. ჟორდანიას უპასუხეთ კიდეც, რომ ჩვენ ყოველთვის მზათ ვართ და ვიქნებით კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ საბრძოლველად— ყოველივე ჩვენი ენერგიით და საშვალებით.

იმ დროს, როცა ძირბუდიანათ დაინგრა მენშევიკური პარტია და ძაღლი პატრონს ვერ სცნობს შიგ, საზღვარ-გარეთიდან მოდის ბენია ჩხიკვიშვილი და ცდილობს ორგანიზაციის აღდგენას, აჯანყების მოწყობას. სასაცილოა, ჯერ კიდევ მაშინ, როცა ბენია ჩხიკვიშვილი აქ იყო, მუშებს ეზიზღებოდა მისი შეხედვა, მისი მაღალი ცილინდრით და თოვლივით თეთრი ხელთათმანით, და ეხლა ვინ აყობოდა მას?

მე კი ვურჩევ ბენიას და ყველას, რომ მოვიდენ გონს, ნუ „აჯანყებენ“ მუშებს მუშების წინააღმდეგ, თორემ ბოლოს და ბოლოს მათ თავზე დაატყდებათ მუშების უსასტიკესი რისხვა. ჩვენ გვაქვს მუშური პარტია, რომელიც დაუზოგავათ იცავს მუშების და გლეხების ინტერესებს, მხოლოდ ვერ ურიგდება და არც შეურიგდება ბურჟუაზიასთან ლაყბობას.

ეს ჩვენი პარტიაა და ჩვენ ყველა ნამდვილი მუშები და მშრომელი გლეხები იქ ვართ და. რაზმული და ტყვილა ცდილობენ ზოგიერთები ამ რაზმის დაშლას, ვერ დაშლით. მუშები არაა თქვენთან. დროა გაიგოთ, რომ ეს ასეა, ამას სხვათა შორის ისიც ამტკიცებს, რომ ბენია ჩხიკვიშვილმა ორ კვირას თავი ვერ შეინახა და ჩეკას ჩაუვარდა ხელში. რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ არავინ არ არის მენშევიკებთან და არც არავინ ინახავს მათ. ნიკოლოზის დროს კი ათი წლობით ინახავდენ თავს ჩვენი ამხანაგები, ეს იციან ბარიკადის იქითა მხარეზე დარჩენილებმა, ეს იმიტომ იყო, რომ მაშინ მასსა სოც.-დემოკრატების იყო, დღეს კი მასსა ჩვენია, კომუნისტების, დაიმახსოვრონ ეს კარგად ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა.

კ. შენგელია.

უმუშევროგის შესახებ

27 ათასზე მეტი უმუშევარია ჩაწერილი დღეს შრომის ბირჟაში. როგორ შეიძლება უმუშევართა რიგების შესუსტება და მდგომარეობის შემსუბუქება? ამ საგანზე ბევრჯერ დაწერილა, ბევნაირ საშვალებებზედაც მიუთითებიათ, მაგრამ ჯერჯერობით საგრძნობი ცვლილება არ მომხდარა და საერთო მდგომარეობა რჩება ისევ უცვლელად. არის არა მშრომელი ხალხი, რომელიც სხვადასხვა ხერხით ჩაწერილია ბირჟაში და ადგილს და ლუკმა პურს ართმევს ნამდვილ მშრომელ უმუშევარს. დღეს ფაქტია, რომ არამშრომელი ელემენტები ბევრია ბირჟაში და ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ ბირჟა ასეთ ხალხისაგან განთავისუფლდეს. „უსაქმო“ მედუქნე, „უსაქმო“ სახლის პატრონი, „უსაქმო“ ფეხზე მოვაჭრე და სხვა ასეთები — აი როგორი არამშრომელებს ეხება ჩემი სიტყვა.

ამ ჯურის და ფერის ხალხი სამსახურშიაც გვყავს უხვათ „სპეცების“ და სხ. სახით. საჭიროა, მაშასადამე, გაწმენდა როგორც ბირჟის, აგრეთვე დაწესებულებებისა ასეთ სავსებით და ნახევრად მაძღარ ელემენტებისაგან...

მეორე და უფრო სასტიკი მოწინააღმდეგე მტერი უმუშევრობისა არის ზედმეტი საათებით მუშაობა, რომლის შესახებ რამდენადაც ბევრი იწერება, იმდენად ბევრათ და ფართოდ ვრცელდება ჩვენს დაწესებულებებში ის. მართლაც, ჩვენ რომ გამოვიანგარიშოთ ყველა ის თანხები, რომელიც იხარჯება ზედმეტ ნამუშევარ საათებზე, დავინახავთ, რომ ამ თანხით ბევრად შეიძლებოდა უმუშევრების რიგების შესუსტება ზედმეტი საათების მაგივრად საქმეზე უმუშევრების მიწვევით. მაგრამ ეს, სამწუხაროდ, ასე არ ხდება.

დაწესებულებების გაწმენდა აუცილებელია პოლიტიკურის მხრივაც. რა უნდა ჩვენს დაწესებულებებში, მაგალითად, ყოფილ „ნამეს-ტნიკის ყოფილ დირექტორს“ ნიკოლსკის და სხვა ასეთს ყოფილ ენერალ-პოლკოვნიკებს. გაირეკოს უნდა ყველა ესენი, როგორც ბირჟიდან, აგრეთვე დაწესებულებებიდანაც. არ გვინდა ასეთი „სპეცები“ და არც გვინდა ვაჭამოთ ჩვენს მოსისხლე მტრებს მუშა-გლეხთა მთავრობის პური.

ძველი მუშა.

დაუდევრობის ნიმუში რკინის-გზაზე.

ამ ბოლო ხანებში, ტრანსპორტის რამდენადმე ნორმალურ კალაპოტში ჩადგომის მეოხებით, ქუთაისსა და ტყიბულს შუა დაინიშნა მეორე მატარებელი, რომლის მეოხებითაც მგზავრებს საშუალება ეძლევა უფრო მიზანშეწონილად ისარგებლონ რკინის გზით. მაგრამ ხშირად ეს შეღავათი, რომელიც გზათა სამმართველომ ტყიბულის შტოს მგზავრებს მოუწყო, ადგილობრივ მოსამსახურეთა მიერ ფერხდება და მიზანს ვერ აღწევს. დილით ტყიბულისაკენ გასული სახალხო და საბარგო (შეერთებული) მატარებელი გზაში უმიზეზოდ ბანდდება და ორმოციოდე ვერსის მანძილის გავლას $7^1/_2$ ან რვა საათი უნდება.

აი, ერთ ასეთ დაუდევრობის და უთავბოლობის მტერმეტყველი მაგალითი:

24 ივნისს სათბობ მასალის დამრიგებელი პერტენავა აძლევს შემდეგი შინაარსის დეპეშას:

(დ. ს. პ. ქუთაისი.)

გთხოვთ გამოიყვანოთ დეპოდან რონოდა № 334512 და ქვაბი № 342494 და მიაბათ ხვალ დილას, ე. ი. 25 ივნისს პირველ გამსვლელ საბარგო მატარებელს მიმავალ ტყიბულში.

მ. ზ. პერტენავა

25 ივლისს დილის ხუთ საათზედ გადის ტყიბულისაკენ პირველი საბარგო მატარებელი, მაგრამ პერტენავას დეპეშა არავის ახსოვს. ის ერთ ყურში შეუშვა და მეორედან გამოუშვა „დ. ს. პ. ქუთაისმა.“ მან იცის, რომ დილით მეორე მატარებელი მიემგზავრება და რატომ იმას არ უნდა მიაბას აღნიშნული რონოდები. რა უყოთ, რომ ამ მატარებლით მგზავრებიც მიდიან. ასედაც მოიქცა. შედეგად ამას მოჰყვა გელათში, ხრესილში და საწირეში მატარებლის საათებით დგომა, რადგან ხაზის მუშა-მოსამსახურეები ნავთს ღებულობდენ. მგზავრების აღშფოთებამ და პროტესტმა ვერაფერ შედეგს მიაღწია, ხაზის ადმინისტრაცია უძლური იყო თავის განკარგულებით შეცდომა გაესწორებია. როგორც იქნა მატარებელი 4 საათისთვის ჩავიდა ტყიბულში. რომ ეს ნავთის რონოდები საბარგო მატარებელს გაჰყოლოდა, რა თქმა უნდა, ამ დაგვიანებას ადგილი არ დაურჩებოდა. მგზავრთა დაგვიანების გარდა ამ დღეს მაღაროებმაც ზიანი ნახა. ცალიერ რონოდების მოლოდინში, რომელიც ჩვენს მატარებელს ახლდა, უსაქმოდ იდგა მტვირთავი მუშები.—ასეთია უბრალო დაუდევრობის შედეგი, რასაც როგორც ამბობენ, ხშირად აქვს ადგილი რკინის გზის აღნიშნულ შტოზე.

ამასთანავე დამახასიათებელია მეორე დაუდევრობა, რომლის უნებლიე მოწმეც იმ დღეს გავხდი. სათბობ მასალის დამრიგებელ პერტენავას თან მიჰქონდა რონოდით ქვის ნახშირი ქუთაისიდან ტყიბულის სადგურისათვის. როგორ გგონიათ, მკითხველო, სად უნდა იყვეს ქვის ნახშირის მაღაროები: ქუთაისში თუ ტყიბულში. ალბად ამ საქმის სათავეში მდგომ დაუდევარ რკინისგზელს ეს კითხვა სრულიად არ მოსვლია თავში.

მგზავრი.

ორი პრემიერი

„ერრიომ აცნობა მაკდონალდს, რომ ოპოზიცია პალატაში თანდათან ძლიერდება და დამარცხების საფრთხეს უმზადებს.

გაზეთებიდან.

რა დაბრუნდა შინ ერრიო, საქმე დახვდა მეტად ცუდი:
პუანკარეს პარლამენტში კვლავ გაზრდია მოკლე კუდი.
მიაძახეს: „შენ გინდა, რომ გერმანიას მისცე რური“.
ეს რომ ესმა პრემიერსა, ჩამოჰყარა ქვეყვით ყური

და მაკდონალდს შეუთვალა: პუანკარეს, ჩემს ბატონსა
აღარ უნდა შენთან ძმობა—და მას ყველა აძლევს ტონსა.
რა ვქნა შენთან მეგობრობა კი მინდოდა შენც კი იცი,
მაგრამ, ძმაო, პუანკარე ჯავრობს და ჰხტის, როგორც კვიცი.
დეე ერთხანს მაინც ვიყო მინისტრი და პრემიერი,
თუმც არავინ, როგორც არც შენ, მე არა მყავს მადლიერი,

— და რამზეის ელდა ეცა და მიაწყდა ღია კარებს.
„ო, არ იქნა. ვერ ვიშორებ ამ დაწყეველილ პუანკარეს.
ეს სთქვა ბრაზით და საჩქაროდ დაუძახა ავტომობილს,
რომ პარიზში გამგზავროს, დაეხმაროს თავის ძმობილს.

„ვიზინტი“

უბილეთოდ მგზავრობის შესახებ

რკინის გზაზე უბილეთოდ მგზავრობა, ეს ძველი სენია. ნიკოლოზის დროსაც იყო ეს განვითარებული; მაგრამ დღეს, როცა ჩვენ გვაქვს მუშურ-გლეხური სახელმწიფო, პატიოსანი და შეგნებული მშრომელი არ უნდა კადრულობდეს უბილეთოდ სიარულს; რადგანაც ყველაფერი ეს აკლდება ნორჩ სოციალისტურ რესპუბლიკას. ეს უნდა შეიგნოს ყველა მგზავრმა, თუ ის მშრომელთა წრეს ეკუთვნის და მუშურ სახელმწიფოს კეთილდღეობაზე ზრუნავს.

მარტო ამ შეგნებაზე დამყარება სახელმწიფოს არ შეუძლია. მან უბილეთო მგზავრების წინააღმდეგ უნდა მიიღოს უფრო რეპრესიული ზომები, ვინემ დღეს არის.

ის ზომები კი, რომელსაც დღეს მიმართავენ უბილეთო მგზავრების წინააღმდეგ, მიზანს ნაკლებად აღწევს. საჭიროა სხვა უფრო გადამჭრელი და მკაცრი სასჯელის გამომუშავება, რომ უბილეთოდ მგზავრობა მოისპოს, აქეთკენ მივაქცევთ ჩვენ რკინის გზის სამმართველოს ყურადღებას.

უჩინარი.

მუნჯერილი ამბები

გარე-კახეთი

წელს გარე-კახეთში მეტად დიდი გვალვა იყო. როგორც იქნა მოვიდა წვიმა, მაგრამ პურის მოსავალს ის ვერ გამოაკეთებს; სიმინდის მოსავალს კი გვარიანი პირი უჩანს. ღვინოს და ხილის მოსავალი კარგი იქნება.

მუშათა კოოპერატივებმა ენერგიული ბრძოლა გამოუცხადეს კერძო ვაჭრობას და დიდი მიღწევებიც მიიღეს: 90% კერძო სავაჭროებისა დაკეტილ იქნა. საჭიროა კოოპერატივებმა შეიძინონ ყველა ფართო მოხმარების საქონელი.

გარე-კახეთის რაიგლეხკომი ბევრს მუშაობს გლეხებისათვის გოგირდის, ფართლეულის, შაბიამანის, შეკერილი ტანისამოსის მისაწოდებლად. საჭიროა ახლა გლეხკომმა ხელი მოჰკიდოს აღმშენებლობითი მუშაობას, აგრეთვე გლეხებს მიაწოდოს სასოფლო-სამეურნეო იარაღები.

კარგი იქნება, რომ მომავალში გლეხკომებმა დაიჭირონ თავდარიგი თესლეულის და არ დატოვონ დაუხნავ-დაუთესავი ის მიწები, რომელსაც არავინ ამუშავებს.

მუშათა კოოპერატივის შემნახველ-გამსესხებელი ბანკი ვერ აკმაყოფილებს გლეხების მოთხოვნილებას, დიდძალი გლეხობაა ჩაწერილი და რიგს უცდის.

ფულით დახმარება უმნიშვნელოა, ხოლო საქონელს კი აძლევენ ნისიად. საჭიროა გლეხობისათვის სესხის მიცემის საქმე უფრო ფართოდ მოეწყოს. ეს მეტად ხელს შეუწყობს გლეხობის ეკონომიურად გამაგრებას.

ტურა.

ქ. ლანჩხუთი.

თითქმის რამოდენიმე თვეა, რაც აქ არ ყოფილა წვიმა. დაიწყო საშინელი გვალვა. როგორც არ ახსოვს გურულ გლეხს.

26 ივნისს საღამოს 7 საათზედ გაწვიმდა, მაგრამ ეს წვიმა სრულებით არ ყოფილა საყანე ადგილებში.

გასულ წელს ერთი ტკაველი მიწა არ დარჩენილა დაუმუშავებელი და წელს კი კაცი გულ შემზარავ სურათის მოწმეა.

გადამწვარია ბალახი, საქონელს არაფერი საქმელი არ აქვს.

გაჩნდა საქონლის ჭირი, ქათმის, ღორის და მუსრს ავღებს. თუ დროზედ არ იქნა ზომები მიღებული საშინელ მდგომარეობაში ჩავარდება ისედაც გაჭირვებული მშრომელი მასა. აქ არ არსებობს საბეითლო პუნქტი, თუმც ამ ქალაქში სცხოვრობს ექიმის თანაშემწე, მაგრამ მას საჭირო შრატი და არც მედიკამენტი არ აქვს. ამას ჩქარა ყურადღება უნდა მიექცეს, რომ ავიცილოთ საქონლის დიდი დანაკლისი ქ. ლანჩხუთში არსებობს კოოპერატივი ერთიან მომხმარებელი საზოგადოება „ეპო", რომელსაც ქალაქშივე აქვს გახსნილი ორი სამჭედლო, ერთი ფურნე, ერთი სასადილო, რომელიც ძლიერ იაფად და წმიდა საჭმელს აძლევს მუშა მოსამსახურეებს. აქვს „ეპო"-ს ერთი ხორცის მაღაზია. კოოპერატივს პატარა ადგილი უკავია და შიგ კი ყავთ ექვსი ნოქარი. ასეთი დიდი შტატი მე მგონია ზედმეტია.

საჭიროა შემოკლება შტატის.

გლეხკომის მუშაობა დამაკმაყოფილებელია. მხოლოდ ერთი ნაკლი აქვს. „ეპო"-ს ყავს თავისი დარაჯი. ის ღებულობს თავის გასამრჯელოს თვიურად 25 მანეთამდი, შემდეგ ის მუშაობს გლეხკომში და მას დახმარების სახით ეძლევა 26 მანეთი. სოლომონ კვაჭაძის ობლებმა კი, რომელნიც ღვთის ანაბარად არიან, დახმარება მიიღეს გლეხკომიდან 1 მ. 18 კ. ეს კი ცოტაა.

აღმშენობლობითი მუშაობა ქ. ლანჩხუთში დამაკმაყოფილებელია. შენდება უზარმაზარი სახალხო სახლი, რომელიც თავის სიდიდით, თფილისის სახალხო სახლს უტოლდება. ფუნდამენტი ამოყვანილია და დამთავრებული, ეხლა საჭიროა ზედა ნაწილის გაკეთება, მაგრამ საჭირო თანხა არ არის. დროებით შენდება საზაფხულო კინო-თეატრი—სცენით.

განზრახულია, მოწვევა მსახიობთა დასის და სისტემატიურად წარმოდგენების დადგმა—15 დღეში დამთავრდება კინო-თეატრის შენობის აგება და კინოც დაიწყებს მუშაობას. აქ არის ელექტრო სადგური, ის მუშაობს ყოველდღე, მხოლოდ გარდა კვირისა, სათანადოთ არ არის განათებული ბაზარი და თვით გარე უბნები კი უყურადღებოდ მიტოვებულია. საჭიროა ინტენსიური მუშაობა და ცოტა ხანში ქალაქი განათდება. ლანჩხუთს აქვს ერთი აფთიაქი, შიგ მუშაობს სამი პროვიზორის თანაშემწე კიდევ ყავთ ერთი მოლარე და ერთიც მოსამსახურე ქალი. გასაკვირია, რისთვის ღამეობით იქ მორიგე არ არის. საღამოს 9 საათზე კეტავენ, და რომ გჭირდებოდეს წამალი, დილამდე უნდა იცადო.

საჭიროა მორიგეობის შემოღება.

პარკის მოსავალი კარგია, კოოპერატივი ყიდულობს ნისიათ. ხალხში ფული არ არის და ელის გაფაციცებით თუ როდის მიიღებს თავისი ნაშრომის საფასურს.

„ᲒᲣᲜᲝ„

სოფელი ზირბითი

(მანგლისის რაიონი)

6 ივლისს შესდგა სასოფლო ყრილობა, რომელსაც დაესწრო მთელი ზირბითის გლეხობა, ყოფილი მენშევიკები და უპარტიო გლეხობა, რომლებიც წინეთ მენშევიკების გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ. კრებამ მოისმინა საშეფო კომისიის წევრ ამხ. თოფაძის მოხსენება მოღალატე ნოე ჟორდანიას პასუხის შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ოდესღაც რევოლიუციონერი ნოე ჟორდანია დღეს დასავლეთ ევროპის ბურჟუა-კაპიტალისტებთან ერთად თავისი დამქაშებით კონტრ რევოლიუციის ბანაკშია მოქცეული და სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლას აწარმოებს ჩვენი მუშათა და გლეხთა მთავრობის წინააღმდეგ, ამის დამამტკიცებელია დღევანდელი მისი პასუხი მისი ყოფილი ამხანაგებისადმიო,

კრებამ ერთხმათ: დაადგინა მოისმინა რა კრებამ ამხ. თოფაძეს მოხსენება მთელი ქვეყნის მუშათა კლასის და საქართველოს მშრომელი ხალხის მოღალატე გამცემ გამყიდველ ნოე ჟორდანიას პასუხის შესახებ, კრება წყევლითა და კრულით იხსენიებს მას და ყველა მის მომხრეებს და ფიცსა სდებს, რომ გაათკეცებული ენერგიით იბრძოლოს ამ კონტრ-რევოლიუციონერების წინააღმდეგ.

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს მთელ ქვეყნის მუშათა მოძრაობას, რომელიც კისერს მოუგრეხს ყველა კონტრ-რევოლიუციონერებს.

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას საქართველოში.

მუშკორი „ისარი"

სოფელ პრიუტი

(მანგლისის რაიონი)

6—ივლისს შესდგა სოფელ პრიუტის მცხოვრებლების ყრილობა. კრებაზე მოხსენება გააკეთა ამხ კ. თოფაძემ კოოპერაციაზე. მან ვრცლად დაახასიათა საერთაშორისო კოოპერაციის დღის მნიშვნელობა და აღნიშნა კოოპერაციის როლი საერთოდ და საბჭოთა რესპუბლიკებში. უ„ანასკნელად მან სთქვა: კოოპერაცია, კომუნისტური პარტია და პროფესიონალური ორგანიზაციები ეს ის ძალაა, რომელიც დაამხობს ბურჟუა კაპიტალისტების ბატონობას და დაამყარებს კომუნიზმსო.

კრებამ ერთხმათ დაადგინა: ყოველივე ზომა მიიღოს კოოპერაციის გასაძლიერებლად და გასამაგრებლად. ყველა 250 კომლი ადგილობრივი მცხოვრებლებისა ჩაეწეროს ადგილობრივ პრიუტის კოოპერატივში, არაფერი არ იყიდონ კერძო ვაჭრებისაგან.

მუშკორი „ისარი"

ᲡᲢᲝᲕᲔᲒᲔᲜ ᲛᲔᲜᲨᲔᲕᲘᲙᲣᲠ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲡ.

გორი, სოფ. გარიყული

მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. მურადოვისა:

ჩვენ ახალქალაქის რაიონის ყოფილი მენშევიკები, ხმა მაღლა მთელ მსოფლიოს მუშათა კლასის გასაგონად ვაცხადებთ: ამიერიდან ის რევოლიუცონური ენერგია, რომელიც 1905 წლებში და შემდეგ, ჩვენში იყო და მენშევიკ ბელადების ზეგავლენით ვახმარებდით არა სოციალისტურ და რევოლიუციონურ საქმეებს. ამიერიდან ამ ენერგიას უფრო გაორკეცებულად მოვახმართ საბჭოთა აღმშენებლობას და კომუნისტურ პარტიას. ჩვენ ვხედავთ, რომ მუშათა განთავისუფლება და კომუნიზმის სამეფოში გადასვლა მხოლოდ და მხოლოდ შეიძლება პროლეტარიატის დიქტატურის ხელმძღვანელობით III კომინტერნის ქვეშ. მტკიცება არაა საჭირო, ვინც სადათ უყურებს ევროპის ცხოვრების მოძრაობას, სადაც მენშევიკებმა მთელი ძალა-უფლება ფაშისტებს ჩაუგდეს ხელში, სადაც ხელი ხელ ჩაკიდებული მენშევიკები და ნაციონალისტ ფაშისტები ერთად ხოცავენ კომუნისტებს, ავსებენ კომუნისტებით ციხეებს, ხურავენ ჟურნალ-გაზეთებს და ამ დროს კი ფაშისტებს სრულ თავისუფლებას აძლევენ ითარეშონ, მოსპონ მუშათა ორგანიზაციები და სხვა.

ჩვენ ვსწუხვართ, რომ ასე გვიან მიეხვდით ჩვენ შეცდომას, ამიტომ ჩვენს თავს უფრო მოვალეთ ვრაცხთ მთელი ჩვენი არსებით ვიმუშაოთ საბჭოთა ხელის უფლების განსამტკიცებლად. ამიერიდან ყოველნაირ კავშირს ვწყვეტთ წვრილ ბურჟუაზიულ მენშევიკურ პარტიასთან და ხელში ვიღებთ ლენინისაგან დატოვებულ წითელ კომუნისტურ დროშას და წავალთ წინ, სანამ მთელ მსოფლიოზე არ გაიმარჯვებს სოციალისტური რევოლიუცია და არ დამყარდება პროლეტარიატის სამყარო კომუნიზმი.

1. ალექსიძე მიხეილ 1905 წ.
2. ცერცვაძე სანდრო 1917 წ.
3. გალუსტოვი გიგო 1905 წ.
4. ნაზაროვი არტო 1907 წ.
5. ქამხაძე დიმიტრი 1917 წ.
6. ჯლანტიაშვილი გიორგი გლახას ძე 1917 წ.
7. ტერდავიდოვი ესტატე 1917.
8. ჯლანტიაშვილი გიორგი ბასილას ძე 1905 წ.
9. ვარდოევი გიორგი 1905 წ.
10. თათანოვი სარქისა 1917 წ.
11. უმეკოვი ივანე 1917 წ.
12. გოჩიტაშვილი შიო 1907 წ.
13. მამუკაძე ნიკოლოზ 1917 წ.
14. გოჩიტაშვილი ნიკოლოზ 1917 წ.
15. ბეგლაროვი არშაკა 1917 წ.
16. თათანოვი ბაგრატა 1917 წ.
17. მალაციძე ნიკა 1917 წ.
18. ტერ-მანველოვი კარაპეტა 1917 წ.
19. ჯლანტიაშვილი დიმიტრი 1917 წ.
20. გოზალოვი ტიგრანა 1918 წ.
21. წვერიანოვი ზურაბი 1920 წ.
22. ედიშერაშვილი გიორგი 1917 წ.
23. ნონიკაშვილი გარსო 1917 წ.
24. მამულოვი გეურქა 1917 წ.
25. დანდუროვი ბაგრატა 1906 წ.
26. პაპიძე ივანე 1917 წ.
27. მეზურნოვი გეურქა 1903 წ.
28. გოზალოვი სერგო 1903 წ.
29, ჩალაშვილი არტო 1917 წ.
30. დანდოროვი სანდრო 1905 წ.

თანამგძნობი:

31. ნატროშვილი სიკო
32. პაპიძე ლევანი
33. თარხნიშვილი ივანე.

პოლიტიკური მიმოხილვა

(კვირიდან-კვირამდე)

უკანასკნელ კვირაში მთელი მსოფლიოს ყურადღების ცენტრად გახდა ინგლის-საფრანგეთის შორის აღმოცენებული უთანხმოება

როგორც ვიცით, მოკავშირეთა, ანუ ანტანტის ხერხემალი იყო ეს ორი დიდი სახელმწიფო. ამ სახელმწიფოთა შორის არსებობდა გარეგნული, მოსაჩვენებელი თანხმობა.

მათ შორის არ არსებობდა ნამდვილი ინტერესთა ერთიანობა, მეგობრობა. მათ შორის დამოკიდებულებას ჰქონდა თვალთმაქცური, ერთმანეთისაგან რამის დიპლომატიურად დატყუების ხასიათი.

საფრანგეთის და ინგლისის ინტერესები ერთმანეთს სცილდებოდენ და ამ ჟამადაც სცილდებიან აღმოსავლეთის, გერმანიის და სხვა დიდ მნიშვნელოვან საკითხებში.

ინგლისი აშკარად ხედავს, რომ გერმანიის ხარჯზე ძლიერდება საფრანგეთი, რომელიც დღეს თუ ხვალ ინგლისის წინააღმდეგაც გაილაშქრებს, თუ ის წინ გადაეღობება მის ბატონობას კოლონიაულურ და ნახევრად კონოლიაურ ქვეყნების ერებზე და სხვა.

საფრანგეთის საჰაერო ფლოტის უჩვეულო ზრდა მეტად აფიქრებს ინგლისს და თავის მხრივ ინგლისიც ემზადება საფრანგეთის წინააღმდეგ. მაგრამ ყველაფერი ეს ხდება ნიღაბ ქვეშ, დაფარულად, ამასწინედ მაკდონალდმა წინადადება შეიტანა ინგლისის პარლამენტში წყალ-ქვეშა ნავების და კრეისერების ასაგებად თანხის მიცემის შესახებ. მისი თქმით ამის აგება საჭირო იყო უმუშევრობის შესანელებლად. მაგრამ ვინ არ იცის, რომ ეს იყო მზადება მომავალი ომისათვის და არა სხვა რამე.

ჩვენ ყველაფერ ამას იმიტომ ავღნიშნავთ, რომ გასაგები გახდეს ის ინტერესთა წინააღმდეგობა, უთანხმოება, რომელიც არსებობს ინგლის-საფრანგეთ შორის.

უკანასკნელ დღეებში კი ამ შინაგანმა, დაფარულმა ბრძოლამ მიიღო აშკარა უთანხმოების და კონფლიკტის ხასიათი. ინგლის-საფრანგეთის პრესამ ერთი კორიანტელი დააყენა ამ უთანხმოების გარშემო.

რა გამოიწვია უთანხმოება?

ამას წინედ ერიომ ინახულა მაკდონალდი ლონდონში და მასთან ჰქონდა თათბირი განსაკუთრებით გერმანიის საკითხის შესახებ.

მართალია, თათბირის შინაარსი ფრიად საიდუმლოდ ინახებოდა და ის არ გამოქვეყნებულა, მაგრამ გამოქვეყნდა მაკდონალდის პროგრამა,—ინგლისის მიმართვა იმ სახელმწიფოებისადმი, რომელნიც მოწვეულნი არიან ლონდონის კონფერენციაზე. „ის" მუხლები, რომელმაც გამოიწვიეს ინგლის-საფრანგეთის უთანხმოება.

1) გერმანიის მიწვევა კონფერენციის დასასრულს; 2) ხელისმოწერა მოკავშირეებისა და გერმანიის მიერ განსაკუთრებულ ოქმზე ექსპერტთა გეგმის ცნობისა და მისი ცხოვრებაში გატარების ვადის დაწესების შესახებ; 3) მოკავშირეების მიერ უარის თქმა სამხედრო რეპრესიულ ზომების მიღებაზე გერმანიის წინააღმდეგ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გერმანიის მიერ აშკარათ დარღვეული იქნება მისი ვალდებულებანი; ამასთანავე ეს დარღვევა უნდა გამოარკვიოს განსაკუთრებულმა ორგანიზაციამ, რომელიც შექმნილი უნდა იქნეს სარეპარაციო კომისიისაგან დამოუკიდებლათ; 4) ყველა უთანხმოება, რომელსაც ადგილი ექნება ამ დებულებების განხილვის დროს განსახილველათ უნდა გადაეცეს საერთაშორისო სასამართლოს ჰაგაში.

აქ საფრანგეთის ყურადღებას იპყრობს და მას გულში სჩხვლეტს ინგლისის სურვილი, რომ გერმანიას დაუტოვოს სასიცოცხლო ნიშან-წყალი და თლად არ ამოახრჩოს. საფრანგეთს კი სწადია მისი სრული სიკვდილი.

აქ არის დამარხული ძაღლის თავი. ეს გახდა საბაბად ამ ორ სახელმწიფოს შორის არსებულ შინაგან უთანხმოების გამოხატვისა.

მაკდონალდმა იგრძნო უხერხულობა ინგლის-საფრანგეთის შორის ურთიერთობის გამწვავებით და ის პარიზში გაემგზავრა „გაუგებრობის გასაფანტავად". ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ეს კონფლიკტი მოგვარებული იქნება, მაგრამ ჩვენთვის ისიც ცხადია, რომ კოკა ყოველთვის წყალს არ მოიტანს და ინგლის-საფრანგეთი ერთმანეთს დაერევა. საბჭოთა კავშირს შეუძლია სიამოვნებით უყუროს ამ „დაჭკა-დაჭკას".

მეორე საკითხი, რომელთანაცაა დაკავშირებული ინგლის-საფრანგეთის უთანხმოება, არის ლონდონში მოწვეულ მოკავშირეთა კონფერენცია და მისი მიზნები. ამ კონფერენციის მიზანია გერმანიის ამოღრჩობა.

ჩვენ არ შეგვიძლია წინასწარ იმინ თქმა, თუ რა შედეგი ექნება მოკავშირეთა მომავალ კონფერეციას ინგლის-საფრანგეთის ურთიერთობის საკითხში, მაგრამ ერთის თქმა კი აშკარად შეგვიძლია, ეს ისა, რომ გერმანია საერთოდ და კერძოდ მისი მუშათა კლასი ამ კონფერენციიდან კარგს ვერაფერს მიიღებს.

* * *

საბჭოთა კავშირის და ინგლისის კონფერენცია განაგრძნობს მუშაობას. ის ერთობ ძლიერ გაჭიანურდა. ამაში ბრალი მიუძღვის უმთავრესად კონსერვატიულ პარტიას. ის განზრახ აჭიანურებს ამ კონფერენციას და ცდილობს როგორმე ჩაშალოს იგი.

გასულ კვირას თემთა პალატაში კონსერვატიული პარტიის წარმომადგენელმა მაიტლენდმ შეიტანა შეკითხვა: რატომ არ აქვეყნებს მთავრობა ცნობას საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკების შესახებ და დაუმატა, რომ საბჭოთა დელეგაცია ნაციონალიზაციაქმნილ ქონებაში 180 მილიონის ნაცვლად 10 მილ. იძლევაო, გაიმართა კამათი. მუშათა პარტიის წარმომადგენლებმა კონსერვატორების შეკითხვა დაახასიათეს, როგორც მათი (კონსერვატორების) სურვილი და ცდა ჩაშალონ ეს კონფერენცია. მთავრობამ შემკითხველს უპასუხა, რომ საზაფხულოდ დათხოვის წინ მოხსენდება პარლამენტს ინგლის-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკების შედეგიო.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო დროს კონსერვატორები მეტად გააფრთებულ კომპანიას აწარმოებენ კონფერენციის ჩასაშლელად, კონფერენციის მუშაობას უმთავრესად ართულებს ფასიან ქაღალდების პატრონებთან მოლაპარაკების სიძნელე. ეს უკანასკნელნი მეტად თავხედურ და მიუღებელ პირობებს უყენებენ საბჭოთა კავშირს,

ინგლისელ ბანკირების გაზეთი „მანჩესტერ გარდიენი ამას წინად სწერდა: „რუსულ ფასიანი ქაღალდის მეპატრონეთ არ შეუძლიათ ფიქრი იმაზე მეტის მიღებისა, რასაც მიიღებენ ისინი, ვისაც ხელში უჭირავს ფრანგული ან ინგლისური ფასიანი ქაღალდი, ამ უკანასკნელთა ღირებულება კი სამი მეოთხედით დაეცაო", ამას გაზეთი უმატებს შემდეგ საგულისხმო ცნობას: ყველა ინგლისელ ფასიან ქაღალდის მეპატრონეთაგან ამ უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში შეიძლებოდა შეძენა ამ ქაღალდების 5-6 პრ. ნამდვილი ღირებულებისა. ამას სწერს ბანკირების ორგანო. რა უფლება აქვს ინგლისის კერძო მევალეებს იმაზე მეტი მოითხოვონ, რაც სინამდვილეში ღირს ფასიანი ქაღალდი? არავითარი. ვერც მიიღებენ.

* * *

ერიოს უკვე შეუდგა წყალი. როგორც მიღებულ ცნობებიდან ირკვევა, ერიოს წინააღმდეგ დაიწყო ინტრიგები. განსაკუთრებით ერიოს საწინააღმდეგო საზოგადოებრივი აზრის მოძრაობას ხელმძღვანელობს მოხუცი პუანკარე, რომელმაც თუმცა განაცხადა თავს ვანებებ პოლიტიკურ მოღვაწეობას და სახლში დავჯდებიო, მაგრამ მაინც განაგრძობს პოლიტიკურ მოღვაწეობას და ფიქრობს ხელახლა ჩაიგდოს ხელში საფრანგეთის სვეტები. ქართული ანდაზაა: რა მგელს შეუპამავარ და რა მგლის ფერ ტყორსო. სწორედ ეს ითქმის ერიო და პუანკარეზე. ისინი ორივე მგელია ჩვენთვის და რომ, შეეძლოს, ყოველწუთში გადაგვყლაპავს.

* * *

როგორც წინა კვირეულში ვსწერდით, იტალიაში გრძელდება ფაშიზმის კრიზისი. მუსოლინი დიქტატორია. თუმცა უნდა ითქვას, რომ მუსოლინის ფაშისტ მინისტრებს დაუნიშნეს თითო თანაშემწე არა ფაშისტი. ესეც ფაშიზმის კრიზისის და ერთგვარად შესუსტების მომასწავებელია.

სამაგიეროდ გერმანიაში ფაშიზმი განუკითხავად თარეშობს. გერმანიის ფაშიზმის მიერ ნიშანში ამოღებულია კომპარტია. საშინელი რეპრესიული ზომებია კომპარტიის წინააღმდეგ მიღებული. დატუსაღება, ჩხრეკა, გაზეთების აკრძალვა და სხვა ამგვარი პარლამენტარულ გერმანიაში, სადაც პრესის, სიტყვის და ბეჭედის თავისუფლება უნდა იყოს, ჩვეულებრივ მოვლენადაა გადაქცეული.

ამას წინეთ გაჩხრიკეს კომფრაქციის ბინა, და დაატუსაღეს ცეკას წევრი, აბრალებენ სახელმწიფოს ღალატს და სხვ. ერთი სიტყვით გერმანიის კომპარტია ტერორის ქვეშ ამყოფება, კომპარტიის გაზეთი „როტე ფანე აკრძალულია, ხოლო სოც. დემოკრატმა ზეფერინგმა აკრძალვა ახსნა ფაშისტურ-ტევტონურ გაზეთ „დეიტშე ცეიტუნგს".

* * *

მცირე ანტანტის სახელმწიფოების პრესა ამტკიცებს, რომ მთავარ საკითხად პრაგის კონფერენციაზე იქნება საკითხი ურთიერთ დამოკიდებულების შესახებ მცირე ანტანტის სახელმწიფოებსა და საბჭოთა კავშირს შორის. სამხრეთ-სლავია და ჩეხო-სლოვაკია მზად არიან იცნონ საბჭოთა კავშირი, რუმინეთმაც კი, რომელიც ამას წინათ იმუქრებოდა მცირე ანტანტიდან გამოსვლით იმ შემთხვევაში, თუ სამხრეთ-სლავია და ჩეხო-სლოვაკია იცნობენ საბჭოთა კავშირს, შეიცვალა თავისი პოზიცია და ის მზად არის წავიდეს დათმობაზე; მას განზრახვა აქვს ამ გზით მიაღწიოს იმას, რომ საბჭოთა მთავრობამ დაადასტუროს ბესარაბიის შეერთება რუმინეთთან. ხორვატთა გაზეთ „ობზორ"-ის ცნობებით, ჩეხო-სლოვაკია და სამხრეთ-სლავია საბჭოთა კავშირს იცნობენ პრაგის კონფერენციის მუშაობის დამთავრების შემდეგ.

ქრონიკა

25 აგვისტოსათვის როდესაც სრულდება მენშევიკური პარტიის უკანასკნელი ყრილობის ერთი წლის თავი, გამოშვებული იქნება ცალკე წიგნათ ამ ყრილობის სრული ანგარიში ქართულ და რუსულ ენაზე. წიგნში მოთავსებული იქნება აგრეთვე ყრილობაზე გადაღებული სურათები.

ერთი კიდევ. 6 ივლისს საქართველოს საგანგებო კომისიამ თბილისში დაატიმრა დამფუძნებელი კრების ყოფილი წევრი ვასო ნოდია, რომელიც ჩამოვიდა პარიზიდან საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ სამუშაოდ.

11 ივლისს გაიხსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გაფართოებული სხდომა.

6 ივლისს საკავშირო კონსტიტუციის დამტკიცების წლის თავზე თბილისში გაიმართა ყველა ადგილობრივ, საოლქო პარტიულ, პროფესიონალურ და სამხედრო ორგანიზაციების საზეიმო სხდომა. წარმოითქვა სიტყვები და მისალმებანი.

1905 წ. რევოლიუციის 20 წლის თავზე საქართველოს პარტისი უშვებს სპეციალურ წიგნებს.

სხვა და სხვა ამბები.

კომინტერნის კონგრესი დასრულდა. მოხდა პრეზიდიუმის არჩევნები.

რუსეთის კომპარტიიდან კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმში არჩეულ არიან: ზინოვიევი, სტალინი და ბუხარინი.

მოსკოვში გაიხსნა პროფესიონალური ინტერნაციონალის კონგრესი.

ინგლის-საფრანგეთ შორის ჩამოვარდა უთანხმოება.

მაკდონალდი პარიზში ჩავიდა გაუგებრობის გასაფანტავად. უთანხმოების საბაბია გერმანიის საკითხი.

16 ივლისს ლონდონში უნდა გაიხსნას მოკავშირეთა კონფერენცია სარეპარაციო საკითხების განსახილველად

ამერიკა ამ კონფერენციაზე აქტიურ მონაწილეობას ვერ მიიღებს, ის იქნება მეთვალყურის როლში.

ინგლის-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკება გრძელდება. მოლაპარაკებას აჭიანურებს ფასიან ქაღალდების მეპატრონეებთან შეთანხმების მიუღწევლობა.

ინგლისის თემთა პალატაში სწარმოებდა კამათი საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკების გამო. მთავრობამ არავითარი ცნობა არ გამოაქვეყნა მოლაპარაკების შესახებ.

საფრანგეთის ფულის კურსი ეცემა.

საფრანგეთის მთავრობას განზრახვა აქვს დაუბრუნოს საბჭოთა რუსეთს ვრანგელის ყოფილი შავი ზღვის ფლოტი.

მატეოტის გვამს ეძებენ, მაგრამ ჯერ ვერ იპოვეს.

საბერძნეთმა და გერმანიამ ხელი მოაწერეს სავაჭრო ხელშეკრულებას.

ინგლისში გაფიცულია 600,000 მუშა.

პრაგაში გაიხსნა მცირე ანტანტის კონფერენცია.

მცირე ანტანტის კონფერენციაზე მთავარი საკითხი იქნება—დამოკიდებულება საბჭოთა კავშირთან.

ჩეხო-სლოვაკია და სამხრეთ-სლავია იცნობენ საბჭოთა კავშირს, როგორც კი კონფერენცია დამთავრდება.

რუმინეთსაც განზრახვა აქვს შესცვალოს დამოკიდებულება საბჭოთა კავშირთან.

ჩინეთ-საბჭოთა კავშირის დამოკიდებულება დღითი დღე უმჯობესდება.

სტოკჰოლმში საერთაშორისო ფოსტის კონგრესზე ესწრება საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი და სხვა დროშებთან ერთად ფრიალებს ჩვენი წითელი დროშაც.

სპარსეთში კმაყოფილი არიან რომ საბჭოთა კავშირთან დაიდო სავაჭრო ხელშეკრულება.

გერმანიაში მთავრობა სასტიკად სდევნის კომუნისტებს. „როტე-ფანე" კვლავ აკრძალულია. დაპატიმრება გრძელდება.

პოლონეთში გრძელდება ეროვნულ უმცირესობათა ჩაგვრა.

ეროვნულ-უმცირესობათა შესახებ კანონ-პროექტის განხილვის დროს პოლონეთის პარლამენტი დასტოვეს ამ უმცირესობათა წარმომადგენლებმა.

ბერლინში რეაქციონერებსა და კომუნისტებს შორის მოხდა შეტაკებები. რამდენიმე რეაქციონერი დაიჭრა.

გაფიცვის ტალღა მოედო იაპონიასაც გაფიცულნი არიან ტრამვაის მოსამსახურეები.

პარიზის პურის საცხობების მუშათა გაფიცვა გამარჯვებით დამთავრდა.

თეირანში მოჰკლეს ოპოზიციონური გაზეთის რედაქტორი ებკე. მოელიან სერიოზულ გამოსვლებს.

მუსოლინს განზრახვა აქვს მოახდინოს ფაშისტური პარტიის რეორგანიზაცია.

ქ. მილანში ეწყობა ინსტიტუტი, რომლის მიზანია საბჭოთა კავშირის ეკონომიური მდგომარეობის შესწავლა.

ინგლისი მომხრეა ვერსალის ხელშეკრულების გადასინჯვის. ეს იწვევს ინგლინ-საფრანგეთის უთანხმოებას.

რუმინეთში კომპარტია ფაქტიურად კანონს გარეშეა გამოცხადებული.

მაროკო ებრძვის ესპანეთს და სურს თავი გაინთავისუფლოს ამ ბატონისაგან. ესპანეთის ჯარების მდგომარეობა მაროკოში კრიტიკულია.

იტალიის სხვა და სხვა ქალაქებში ფაშისტები ყოველ დღე ახდენენ რბევას.

მატეოტის მოკვლამ იტალიის საერთაშორისო მდგომარეობა შეარყია.

ერიომ რწმუნებული დანიშნა რომის პაპასთან. პირველ ხანებში არ უნდოდა ეს.

ჩეხო-სლოვაკიის სოც. დემოკრატიულმა ჯგუფმა გაილაშქრა პროლეტარიატის დიქტატურის და სოციალური რევოლიუციის წინააღმდეგ.

ერიომ განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის ცნობის საკითხი განხილულ იქნება მოკავშირეთა მიერ ლონდონის კონფერენციაზე.

რუმინეთის ჟანდარმებმა მოჰკლეს დაპატიმრებული კომუნისტი ილიაში.

ამერიკა-იაპონიის ურთიერთობა თანდათან მწვავდება.

ინგლისში აუარებელი ბანკები იხურება. უკანასკნელ კვირაში გაკოტრდა 162 ბანკი.

ჩვენი ჟურნალის ემიგრანტებსა ყველა ამბავებს.

„სიმართლის ხმის" რედაქცია მოხვევ დაჩარეზით მოაწოდოთ მას ცნობები შემდეგ კითხვებზე:

1) ღებულობთ თუ არი თვის დროზე თქვენ მიერ დაჯილდოვათ ჟურნალის ყოველწლეულ;

2) არის თუ არა საჭიროება ჟურნალის რიცხვის მომატების ან შემცირებისა;

3) რა მდგომარეობაშია საერთოდ „სიმართლის ხმა" გავრცელების საქმე თქვენს რაიონში.

სარედაქციო კოლეგია: ნ. ჩლაიძე. ა. ფარნიევი. ა. რუხაძე. კ. თოფაძე. გ. ვარდოიანი. ა. ჭყონია.

ს. ს. მ. უ. ს. პოლ. განყოფ. 1-ლი სტამბა შეკვ. № 2879. ნებადართულია ლიტ. გამ. და მართ. მიერმთავ. № 1633